# სახალხო გაზეთი

№ 1023 სამშაბათი, 22 ოქტომბერი 1913 წ. № 1023

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კაკუსიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამკლოვიარო განცხადების დიბეგლი: პირველ გვერდზე თითო-ჯერ სალამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ების განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ხ. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხადამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

**რედაქცია და კანტორა** იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

**ტელეფონი № 12-29**

**გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.**

**ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**



## საავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა „რექტიფიკატ" (დ. ზ. სარაჯიშვილის ფირმით მოვაჭრე)

ყურჩევს იყიდონ ახლად გამოსული არაყი სახელით: **„რექტიფიკატ"**, რომელიც დამზადებულია **პურის** გაწმენდილ სპირტიან საგან, საუკეთესო ღირსებისაა და საგანგებოდ გაწმენდილია. ეს არაყი იყიდება ყველგან. 1522

**სახალხო გაზეთი**

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი ოქტომბრიდან წლის დამლევამდე, რთგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **2 მ. 25 კ.**

**თვეში ღირს 75 კაპ.**

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

**მისამართი:** Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

**გაზ. „მშაკის" რედაქცია** გამოუთქმელი მწუხარებით იუწყება რედაქტორ-გამომცემლის

**ალექსანდრე ჰაირაპეტის ძის ქალანთარის**

უეცრად გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 20 ოქტომბერის ნაშუადღევის 12½ საათზე. პირველი პანაშვიდი დღეს, 22 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, განსვენებულის საკუთარ სახლში, გრიბოედოვის ქუჩა, № 5. შემდეგი პანაშვიდების და დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 1548

**ნიკო ივანეს ძე ჩუბინიძე, ალექსანდრე და რაუდენ ნიკოს ძენი, ფოფიტე ხპირიდონის ასული, ფოდრასი იოსების ასული შვილებითურთ, მღვდელი ქრისტეფორე ცაცქიშვილი შვილებითურთ** აუწყებენ ნათესავთა და მოკეთეთ, რომ 18 ამა ოქტომბერს, საღამოს ცხრა საათზე, ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მარად მოსაგონარი და ძვირფასი—პირველისა მეუღლე, მეორეთა დედა, მესამეთა დედამთილი, ხოლო მეოთხესი სიდედრი

**ნატალია ისიდორეს ასული ჩუბინიძისა.**

გასვენება და წირვა მოხდება სოფელ დილიკოურის ღვთისმშობლის ეკლესიაში, დაკრძალვა იქვე საგვარეულო სასაფლაოზე 22 ოქტომბერს. 740

**ტელეფ. № 795. ქართული თეატრი** წარმოდგენა 14—7.

**ხუთშაბათს, 24 ოქტომბერს,** ქართ. დრამ. საზოგად. დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება სოფოკლეს ცნობილი ანტიური ტრაგედია

## ოიდიპოს მეფე

ამ პიესისათვის გაკეთებულია ახალი დეკორაცია და ტანთსაცმელები. ტრაგედია დადგმული იქნება რეინჰარტის გეგმით. პიესის დასაწყისს და დასასრულს აუწყებს ანტიური მუსიკა. რადგან მსახიობები პარტერიდან შემოვლენ სცენაზე, პარტერის და ლოჟების კარები დაკეტილი იქნება სრულ 9 საათზე და ამის შემდეგ დარბაზში არავის არავითარ შემთხვევაში არ შეუშვებენ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ასიანისა, ქიქოძე, შოთაძე, სალარიძე, თოიძე; ბ-ნნი: არადელი-იშხნელი, ბარველი, გომელაური, ზარდალიშვილი, იმედაშვილი, სარაული, ციციშვილი, შანშიაშვილი, შალიკაშვილი, ხონელი,

**დასაწყ. ხალ 8 ს. დასასრული 10 ს. 40 წ.** ✦ ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

რეჟისორი **მ ქორელი.** დირიჟორი **ალ. ბეგიშევილი.** ✦ ადმინისტ. ქართ. დრამატ. საზოგად.

ანონსი: მზადდება წარმოსადგენად: კულტურული მკვლელობა, ნაგავი, სინათლე, ზამთრის სიზმარი, მხსნელი და სხვა.

**პირველ-ხარისხოვანი**

## დიდი ცირკი ძმ. ესიკოვსკეებისა

მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუროვის ადგილზე, საკუთარი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

**დღეს, 22 ოქტომბერს, 1913 წ. გაიმართება**

## 2 დიდი წარმოდგენა

დაიწყო გამოჩენილ ფალავანთა ფრანგული, კავკასიური და თავისუფალი ამერიკული **ჭიდაობა.** ეს ჭიდაობა მოწყობილია პეტერბურგის „ვესტნიკ სპორტის" რედაქციისაგან და მოხდება თვით რედაქტორის **ნ. ი. პეტროვის** ხელმძღვანელობით. ჭიდაობაში მონაწილეობას იღებენ გამოჩენილი ფალავნები: **ჩემბერს ციპს** (ამერიკელი ზანგი)—**კოსტა მაისურაძე,** კავკასიელი ფალავანი. **ლუკა კოპეიკინი,** —**უან საბატიე,** (ევროპის და საფრანგეთის ფალავანი) **ივ. კბინი,** ყველაზე უფლონიერესი და ცნობილი ამ დროის ზოგიდაგე, რომელიც არა ერთხელ აჯობა ჭიდაობაში ბოდდუბნის, ვახტურეულ და სხვას. დღეს ჭიდაობს ოთხი წყვილი. ჩესტერ დიკი მე-9 განყოფილებაში, 9 ს.-ზე, ჭიდაობა 9 ნახ. საათზე დღისით წარმოდგენა დაიწყება 2 საათზე. მონაწილეობას მიიღებს ჩესტერ დიკი ფასი 10 კ. 2 მანეთამდე.

738 **დასაწყ. ხალამ. 8 საათზე.** დირიჟორი **ძმ. ესიკოვსკეებისა.**

**ტფილისის საპოლიტეხნიკო კურსები**

## ინჟენერ მ. ნ. ვინოგრადოვისა.

განყოფილებანი: სამიწად-მზომელო, საალმშენებლო, სასოფლო-სამეურნეო და კომერციული. სამიწად-მზომელო და საალმშენებლო განყოფილებებზე მსურველნ იღებენ. **მეცადინეობა 7 ოქტომბერს** დაიწყო. მოწაფეების მიღება გრძელდება. კურსებზე იღებენ სამოქალაქო სასწავლებელში სწავლა დამთავრებულთ გამოუცდელად, დანარჩენებს კი გამოცდით. კურსები იმყოფება სასულიერო სემინარიის ძველს შენობაში. 712

**საზამთრო ახალი კლუბი** თეატრი

**სამშაბათს, 22 ოქტომბერს,** შესდგება

## „მანანწალა" კონცერტი

**ცნობილ სახალხო მემუსიკის ილიკო ქურხულისა.**

სცენა წარმოადგენს ერთ-ერთ **ეზოს პეტერბურგისას,** რომელიც მთლად დაფარულია ამ ორიგინალურ მუსიკოსს. დასასრულ წარმოდგენილ იქნება:

**„ვ ე შ ა პ ი",** 2 მოქ. კომ. დ. ერისთავისა,

დაწვრილებით პროგრამაში. ადგილების ფასი საბენეფისო. ვისაც ჰსურს დაესწროს კონცერტ-წარმოდგენას, ის არ იხდის კლუბში შესასვლელს. სტუმრები კლუბში შესასვლელს იხდიან: კაცი 50 კ., ქალი და სტუდენტები 25 კ. ✦ დასაწყისი საღამოს 9 ს. 1499

## ქ-ნი პორტუგალოვისა

აცხადებს, რომ

**საფეხბურთო მაღაზიაში,** რომელიც ნიკოლოზის ხიდთან № 23—24 არის,

**ზაჟთრის სეზონის ჯოახლოვებისა გამო დანიშნულია**

## დიდი ვაჭრობა

**მამაკაცთა, ქალებისა და ბავშვების ტანისამოსისა.**

**30 პროც. დაიკლდება ფაბრიკის ფასს.**

ვიმედოვნებ, ვინც ჩვენს მაღაზიაში იყიდის, კმაყოფილი დარჩება. ამასთანავე მოგახსენებთ, რომ **მაღაზიას ყოველ კვირა მოსდის ახალ-ახალი საქონელი** რომელიც ძვირად არ იყიდება.

1491 პატივისცემით **ძ-ნი პორტუგალოვისა.**

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

## სამკურნალო

**საწოლი ოთახებით**

## მიხეილ გედევანიშვილისა

ნივრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

**ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა**

## გ. მეჰრაბიანცი

დაბრუნდა უცხოეთიდან და გაანახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—**ჭლექი**— და გულისა. შეთანაბრებული სპეციფიური **ტუბერკულინური** წამლობა. ხელოვნური პნევმოტორაქსი. **რენტგენის ელვისებური სხივებით ფილტვებისა და გულის გასინჯვა.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

9—10 საათ. **საწყლებს უფასოდ.**

ბებუთოვის ქ. სახ. 23, ტელეფონი 7—92 1516

## ტფილისის ქერქო სამკურნალო

**ქალნიეგის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის ხასტუმროს ახლო.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილებ.**

წოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი ვ. ვ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მაღალაშვილი ზ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს.<br>**ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>**ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შანანაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკოვიჩი ვ. ლ.** კონსულტატი ყოველ დღე 11½—12½.<br>**ფელიციშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირადოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ფერბიცკი-ფირადოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**ფელიციშვილი ნ. ვ.** ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულ. | **ექ.-ქალ. ბაძრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1.<br>**ფედოროვი ზ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ერვიულ. სნეულებ. და ელექ. | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** საშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>**ფოლდოვი ბ ს.** ყოველ დღე 1—2. |
| ელ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2. |
| თვალის სნეულ. | **ნუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½. |
| ენ. და ენვრ. ავ. | **ჯიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტეროლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wasserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლ ადგილი 2 მ. **დაწყებული.** ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, **„606" და „914" წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძი-ძათა შემოწმება და სხვა. შედავათიანი საფასურით. წ. 1466

**—✦ გამოსულია და იყიდება ✦—**

## ნ. შიუკაშვილის

**პიესა „ მეგობრობა",** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

**საბურთალოზე**

**ბ შვენიერ ალაგას**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის ღრეჩე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

**ექიმი** **ბ. მ. ლოლოგბერიძე** ღებულობს ავადმყოფებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით. დღისით 1—3 საათამდე. საბებია და ქალის ავადმყოფობანი. სლეპკოვის შესახვევი № 3. 1524

**ექიმი** **ე. ი. მინასიანცი** იღებს ყოველ დღე, შინაგან, ბავშვთა, სპეც. კუჭისა და ნაწლავთა ავადმყ. და საზრდოებ. (სისხლ ნაკლულ. შაქრის ავადმყ. სიმსუქნე, ლოთობა, ქარები) ბლექ. და დამპალი ციება

**პარიზულ კლინიკ. პროფ. Mathieu. იღებს** დილ. 9—11 ს., საღ. 5—7 ს. ტფილისი, მიხეილ. ქ. № 86, ტელ. № 576. 1071

**ექიმი** **ი. ზ. ბაქელიშვილი** სწამლობს შინაგან, თვალის და ბავშვთა ავადმყოფობას დილით 9—12 საათ., 5—7 საათ. საღამოს 19 თებერვლის ქ. (რიყის ქ.) № 17, ტრამვაის გა ბაჭერებელთან, მისიოსერთთა ახალ ეკლეს. გასწვრივ. 688

**ექიმი** **ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა ტ კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — 5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

**ექიმი** **კბილისა პ. მ. მუმულიანი-კუხალაიშვილი** ღებს დილით 9—2 საათამდე, საღამოს 4—7 ს. ანდრეევის ქუჩა № 81, ვაგზლის ახლო. 697

**ექიმი** **კბილისა ნინო რცხილაძე** **გადავიდა** მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

**ექიმი** **პ. ლ. კიკალიშვილი** იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5½ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

**ექიმი** **ივ. ბოგმართელი** ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფთა მიღება დილის 8—12 საათ. საღ. 5—7 საათ. ოლგას ქუჩა, № 20. ტელ. 633. 654

## ვაგზლის პერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე ჩოხიანდ ავადმყოფებისთვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

**ბ. ა. ბოლოვი.** ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

**ექ. ქალი ოთხელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

**ნ. ვ. ფელდიაშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ვ. ვ. კლდიაშვილი.** ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი' აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგეობით.

**წამლობა „606"-ით** 1462

## ქართული პრესა

საქართველოს ახალი ეგზარხოსის შესახებ ჟურნალი „ალდეა" თავის უკანასკნელ მეთაურში სწერს:

„ჩვენ არა გსურს წინ უყოლოთ მღვდელ-მთავრის მომავალ მოღვაწეობას და სკეპტიკურად შევეხოთ მას. მაგრამ იმ სიტყვებში, რომელსაც ამბობს გზა და გზა ახალი ეგზარხოსი, არის ისეთი რამ, რომელიც ერთის მხრივ განცვიფრებას იწვევს, მეორე მხრივ აუცილებელ განმარტებას მოითხოვს. ეგზარხოსმა ალექსი განაცხადა: კავკასიის ერთათვის ძე ვიქმნები მიუდგომელი მამა, როცა კი ისინი მომმართავენ მღელვარე კითხვათა გარდასაწყვეტადაო. ეს სიტყვები თავისთავად სარწმუნონი არიან, მაგრამ ჩვენ არ გვესმის რომელ კავკასიის ერებზედ ლაპარაკობს ის პირი, რომელიც ამიერიდან საქართველოს ეგზარხოსის მაღალ ტიტულს ატარებს? რამდენადაც ჩვენ ვიცით, კავკასიაში სამი მთავარი რელიგია არის: მუსულმანური, სომეხ-გრიგორიანული და მართლმადიდებელი. პირველი ორი სარწმუნოება დამოუკიდებელია და საეკლესიო საკითხებში ექვემდებარებიან მარტო თავიანთ სასულიერო მთავრობათ. მესამე კი—მართლმადიდებელი სარწმუნოება შეეხება par excellence ქართველობას და პირველი მღვდელ-მთავარიც იმიტომ ატარებს საქართველოს ეგზარხოსის ტიტულს. ასეთ განმარტების შემდეგ, რომლის ძალითაც ეგზარხოსი ალექსი გამგეა ივერიის ეკლესიისა, ცხადია, ზემო მოყვანილი სიტყვები არავის დააკმაყოფილებს. ნათქვამი არ არის ის, რაც ყველაზე უპირველესად უნდა ეთქვა მღვდელ-მთავარს".

ამის შემდეგ ჟურნალი „ალდეა" აღნიშნავს, რომ ახლად დანიშნული ეგზარხოსის ალექსის სოლიდარობა განსვენებული ინოკენტის მოღვაწეობასთან საგონებელში აგდებს ქართველებს.

„ეგზარხოსის განცხადებაში არის კიდევ ერთი ადგილი, რომლითაც იგი სრულ სოლიდარობას უცხადებს საეკლესიო საკითხებში განსვენებულ ეგზარხოს ინოკენტის. მაგრამ რა დასკვნა შეგვიძლიან გამოვიყვანოთ აქედან? ამ განცხადებიდან ჩვენთვის ფრიად ძნელია რამე სანუგეშოს წარმოდგენა, რადგანაც, როცა ახალი ეგზარხოსი განსვენებულ ინოკენტის სოლიდარობას უცხადებს, ამით ის ქართველ სამწყოსოს ისეთ ამოცანას აწვდის, რომელიც გამოუცნობელის საშუალებით უნდა გამოვიცნოთ. ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ განსვენებული ინოკენტი სინოდის წრეებში მემარცხენედ ითვლებოდა და მთელმა ლიბერალურმა რუსეთმა მის ცხედარს ცხარე ცრემლები დაუფრქვია, საქართველოს ეკლესიისთვის არავითარ ნუგეშს არ წარმოადგენდა".

## ახალი ამგავი

**ტფილისი**

✦ **მეფის მოადგილის თანაშემწეს სენატორ ვატაცის** უმაღლესის სურვილის თანახმად ნება დართეს, ორის თვით კავკასიიდან დასასვენებლად წავიდეს რუსეთს.

✦ **სახელმწიფო სათათბიროს წევრად ნამყოფი ირაკლი (კაკი)**

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝ�თᲔᲙᲐ

**წერეთელი** საკატორგო ციხიდან გაანთავისუფლეს და ნება დართეს იცხოვროს სოფელს მალიშევკაში (ირკუტსკის გუბერნია, ბალაგანისმაზრა.)

**გორის ეპისკოპოსი ანტონი,** რომელიც პეტერბურგს გაემგზავრა საქართველოს ეგზარხოსის ინოკენტის 40 დღის წირვაზე დასასწრებლად, ტფილისს დაბრუნდება დღეს საღამოს.

**მედავითნეთა კურსებზე,** რომელიც დარიის მონასტერთან არსებობს, კვლავ იღებენ მსურველთ, რომელნიც მოვალენი არიან წარუდგინონ თვის ვინაობის დამაატიკაცებელი საბუთები.

**წ.-კ. გამავრც. საზოგადოების სტიპენდიანტები.** ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების გამგეობამ წინადადება მისცა თვის ძველ სტიპენდიანტებს, დაუბრუნონ საზოგადოებას ნაწილ-ნაწილად ის ფული, რომელიც სტიპენდიის სახით აქვთ წაღებული. ძველ სტიპენდიანტთაგან დღემდე მხოლოდ ერთმა განუცხადა გამგეობას, 1 იანვრიდან თვეში 10 მან. დავაბრუნებო.

გუბერნატორმა ნება დართო ქალაქის გამგეობას, მოიწვიოს 17 ნოემბერს კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა კრება.

**საცდელი სროლა.** 26 ოქტომბერს დიღმის ძინდორზე საცდელი სროლა ექნებათ სათადარიგო ჯარისკაცთ.

**თავად-აზნაურობის სტიპენდიანტები** მოვალენი არ არიან ,რომ სტიპენდიის სახით წაღებული ფული შემდეგში ისევ დააბრუნონ. ამის მიუხედავად, როგორც გავიგეთ ზოგიერთს სურვილი აქვს, ფული დაბრუნოს კეთილ საქმისთვის მოსახმარებლად. ფულის უკან დაბრუნებას განსაკუთრებით აბრკოლებს ის გარემოება, რომ დღემდე არ არსებობს რაიმე ორგანიზაცია, სადაც შეიძლებოდეს ამ ფულის ჩაბარება. კარგი იქნება, მსურველებმა ფული გადასცენ წ.-კითხვის საზოგადოებას სასკოლო ფონდისათვის.

## ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲙᲠᲘᲜᲔᲑᲘ

**ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების** წლიურ კრების დღე ჯერ-ჯერობით დანიშნული არ არის. საზოგადოების მოქმედების ანგარიში ამ ჟამად სარევიზიო კომისიის ხელშია. კრება მოწვეულ იქნება მას შემდეგ, როდესაც სარევიზიო კომისია გამგეობას თვის დასკვნას წარუდგენს.

## ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲨᲘ

**სკოლების ბედ-იღბალი ხევსურეთში.** როგორც ვიცით, ფშავ-ხევსურში ქრისტიანობის აღმადგენელი საზოგადოება ოთხ ახალ სკოლის დაარსებას აპირებდა, თანახმად მოხსენებისა გორის ეპისკოპოზ ანტონისა, რომელმაც შარშან ზაფხულ შემოიარა ფშავ-ხევსურეთი. ამ ჟამად საზოგადოებას დაუნიშნავს ადგილები სკოლების ასაგებად ხევსურეთში: სოფ. ბარისახოსა და ხახმატში, ხოლო ფშავში სოფ. მუქოსა და შუაფხოში. საჭირო თანხა გადაიდება დასავლეთ ოსეთში დახურულ სკოლების კრედიტისაგან.

## ᲓᲣᲨᲔᲗᲘ.

**უბედური შემთხვევა.** გზის გაკეთების დროს ჩამონგრეულმა მიწამ გიგოლაანთ კარში დაიტანა სამი კაცი: სვიმონ აგაშენაშკილი და ბესო მუზაშვილი გარდაიცვალა, ხოლო გორა ირიაული მძიმედ დაშავდა.

## ᲒᲝᲠᲘ.

**ს. ფლავში** ივანე ბოლთაშვილს უცაბედად თოფი გაუვარდა და თვითვე დაიჭრა სასიკვდილოდ.

## ᲡᲘᲦᲜᲐᲚᲘ

**ბოდბის დედათა მონასტერთან** იღუმენია ანასტასიას ინიციატორობით დაარსდა სამკურნალო 15 საწოლით. ამავე მონასტერს საველმწიფო ქონებათა გამგეობამ 100 დესეტინა მიწა მიუზომა ალაზანზე.

**მკვლელობა.** ს. ჯიმითში, ჩხუბის დროს, ალექსი მამისაშვილმა გულში ქვა დაარტყა დავით ბეროშვილს, რომელიც იქვე გარდაიცვალა.

# ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

**149.**

**უცნაური მართლება.**

თ-დ ამილახვრების მიწის შესყიდვამ მანთაშევის მიერ ქართულ საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ეს ადვილი ასახსნელიც არის: როდესაც თვით ქართველები საშინელ მიწის სივიწროვესა ჭგრძნობენ, მაშინ ყოველი ისეთი მოვლენა, რომელიც ამცირებს ქართველთა მიწადმფლობელობას, ბუნებრივ შიშს იწვევს. აღარაფერს ვიტყვით საკითხის სხვა მხარეების შესახებ. ამის გამო ჩვენს გაზეთში უკვე იყო დაბეჭდილი მეთაური წერილი. მე მინდა ამ ჟამად მკითხველის ყურადღება მივაქციო იმ წერილზე, რომელიც ქვევით იბეჭდება. ჩვენი კორესპონდენტი იწერება, თ-დი ნ. თუმანიშვილი მონაწილეობას იღებდა თ-დ ამილახვრების მიწის გაყიდვაშიო. ასეთივე ხმები დადიოდა საზოგადოებაში. ერთმა ამილახვართაგანმა უარჰყო ეს ხმები და გაზეთის საშუალებით ამცნო საზოგადოებას, თ-დ ნ. თუმანიშვილს თ-დ ამილახვრების მამულის გაყიდვაში არავითარი მონაწილეობა არ მიუღიაო.

ამასვე იმეორებს დღევანდელ წერილში ბ-ნი ს. ჩოლოყაშვილი. ჩვენ ვიცით და ამას ბ-ნი ჩოლოყაშვილიც ამოწმებს, რომ თ-დმა ფალავანდიშვილებმა მიიღო თ-დ თუმანიშვილის მიერ ხელ-მოწერილი დეპეშა. ბ-ნი ჩოლოყაშვილი გვიხსნის, როგორა ყოფილა საქმე და თან დასძენს, მხოლოდ **ვისარგებლეთ** თავადი თუმანიშვილის სახელით, თორემ თვითონ იგი სრულიად არაფერს შუაშიაო. დიდის კმაყოფილებით დავუჯერებთ ბ-ნ ჩოლოყაშვილს; არავითარი საბუთი არა გვაქვს არ დავუჯეროთ, რომ მათ მართლაც დასჭირდათ თ-დ თუმანიშვილის სახელი და კიდეც ისარგებლეს. მაგრამ მეორის მხრით, არ შეგვიძლიან დიდი გაკვირვება არ გამოვსთქვათ იმის გამო, რომ თ-დი თუმანიშვილი ნებას აძლევდა ვისმეს ასეთი საქმისთვის მისი სახელით ესარგებლათ. ორში ერთი უნდა ვიფიქროთ: ან თ-დი თუმანიშვილი **თანაუგრძნობდა** ამ გაყიდვას და ნიშნად თანაგრძნობისა თავის სახელს აძლევდა, ან არ თანაუგრძნობდა. უკანასკნელ შემთხვევაში არას გზით თავის სახელს არ მისცემდა და ამით დახმარების ხელს არ გაუწოდებდა იმათ, ვინც, მისის აზრით, ცუდად იქცეოდა. თუ თ-დმა თუმანიშაილმა ნება მისცა მიწის გამყიდველებს დეპეშაში მისი გვარი მოეწერათ, ამით მხოლოდ ის მტკიცდება, რომ თ-დი თუმანიშვილი თუ არ თანაუგრძნობდა ამ საქმეს, ყოველ შემთხვევაში არც რაიმე ზომებს იღებდა, რომ საქმე სხვანაირად დატრიალებულიყო და და მთელი რაიონი ქართლის შუაგულისა მანთაშევის ხელში არ გადასულიყო.

ბ-ნი ჩოლოყაშვილის წერილმა მხოლოდ განამტკიცა ჩვენში ის აზრი, რომ შეუძლებელია თ-დ თუმანიშვილზე ითქვას, სრულიად არაფერს შუაშიაო.

შეიძლება მკითხველმა იფიქროს, **რას** ჩააცივდით ამ თუმანიშვილს. რაიმე კავშირიც რომ ჰქონდეს ამ საქმესთან, ბოლოს და ბოლოს მამული მაინც ითან კი არ გაყიდა, არამედ თ-დმა ამილახვრებმაო. ამის თაობაზე აი რას ძოგახსენებთ. ყველას ერთნაირის საზომით ვერ შევხედავთ და ყველას ერთნაირ პასუხისმგებლობას ვერ ძოვსთხოვთ: არიან მეშამულენი, რომელთათვის ღარ არსებობს არც საქართველო არც მისი ინტერესები. მათთვის საქართველო იქ არის, სადაც ბევრს ფულს იშოვნიან. საზოგადოებრივი თვალსაზრისი მათთვის არ არსებობს და ყველაფერს პირადი კეთილ-დღეობის თვალსაზრისით ჰზომავენ. რა უნდა მოგსთხოვოთ ასეთს მეშამულეებს? მაგრამ ასევე ვერ მოვექცევით ადამიანს, რომელსაც ასე თუ ისე მაინც საზოგადოებრივი თანამდებობა უჭირავს. იგი საზოგადოებრივი სამსახურის სიმაღლეზე უნდა იდგეს და სულ სხვანაირად უნდა უცქეროდეს მოვლენებს. თ-დი თუმანიშვილი ამ შეძთხვევაშიაც თავისუფალია: შეუძლიან, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი თანამდებობა უჭირავს, არავითარი ყურადღება არ მიაქციოს საზოგადოებრივ-ეროვნულ ინტერესს, მაგრამ მაშინ ჩვენც უფლება გვექნება პირდაპირ და ძოურიდებლად ვუთხრათ: იგი ღირსი არ არის იმისა, რომ საზოგადო მოღვაწის საპატიო სახელი ატოროს.

ჩვენ გვგონია, რომ მცირეოდენი მონაწილეობა საზოგადოების შეგნებული წევრისა ასეთს საქმეში უფრო დიდი ცოდვაა, ვიდრე იმ მეშამულეებისა, რომელთაც არც ესმით რაცა სჩადიან და არც ჰსურთ გაიგონ.

**შინაური.**

# ᲓᲔᲞᲔᲨᲐ

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

**კავკავი.** წერა-კითხ. საზოგადოების განყოფილების გამგეობის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს ალექსანდრე გიორგის ძე დუმბაძე.

## ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ Ვ. ᲒᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘᲡ ᲤᲝᲗᲗᲨᲘ

17 ამ თვეს საღამოს მატარებლით ფოთს ჩამოვიდა დეპუტატი ვ. გელოვანი. მას სადგურზე შეხვდნენ თანამოაზრენი, ინტელიგენტები და მუშები, რიცხვით 25-მდე კაცი. სადგურიდან დეპუტატი სასტუმრო „კოლხიდაში“ მიიწვიეს. აქ მას იტალიელების ხე ტყის ქარხნის გაფიცულ მუშათა წარმომადგენელი წარუდგა და აუხსნა მუშათა გაჭირვება. როგორც წარმომადგენელმა აღნიშნა, ქარხნის ადმინისტრაციას ყველაზე უფრო ეძნელება 8 საათის სამუშაო დღის შემოღება, მოთხოვნილებებს ქარხნის ადმინისტრაცია არ უკმაყოფილებს მუშებს და მოითხოვს მთავრობისაგან მუშების მეთაურთა დაპატიმრებას. ადმინისტრაციას დაუპატიმრებია თერთმეტი მუშა, ამათგან ოთხს ერთი თვით სატუსაღოში დაპატიმრება აქვს მისჯილი, დანარჩენ მუშებს თავიანთ სოფლებში გაგზავნიან ეტაპით. დეპუტატმა ჩაიწერა დაპატიმრებულ მუშების სახელი და გვარი, აღუთქვა მუშების წარმომადგენელს დაპატიმრებულთა განთავისუფლების შესახებ, ვისთანაც ჯერ არს, მოლაპარაკება და სთხოვა მეორე დღეს შემოსვლა იმის გასაგებად, თუ რა შედეგს მიიღებდა ამ საქმის შესახებ დეპუტატის შუამდგომლობა.

დეპუტატმა მიიღო აგრეთვე მრავალი მასალა ჩვენი ცხოვრების უკულმართი პიროვნების მაჩვენებელი. სხვა მრავალ ძნიშვნელოვან მასალის შორის აღმოჩნდა ერთი, ფრიად საყურადღებო, მაჩვენებელი იმისა, თუ რა საზღვარს ძიღნია რუსეთის შავრაზმელების გამარუსებელმა პოლიტიკამ ჩვენში. ეს არის „რუსეთის სანაოსნო და სავაჭრო საზოგადოების“ კანტორაში ქართველ მოსამსახურეთა დაჩაგვრა-გაძევების შესახებ მომხდარი განკარგულება. აი, როგორი შინაარსის წერილსა სწერს ჯერ კიდევ 1906 წელს მთავარი კანტორა ადგილობრივ კანტორის აგენტს—მოგვყავს სიტყვა-სიტყვით:

„რუსეთის სანაოსნო—სავაჭრო საზოგადოება“. ინსპექცია ეესპლოატაციისა. № 13/ კ. ხ. დ. ოდესა, 7 მარტი 1906 წ. კონფიდენციალურად. სახოგადოების აგენტს ფოთში. მივაქცევთ-რა თქვენს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ მთავარ კანტორას განზრახვა აქვს მოახდინ თქვენს განკარგულებაში ყოფ კანტორის მოსამსახურეთა ადგილობრივ ელემენტების, უმთავრესად იმ პირთა, რომელნიც დღეს ირიცხებიან საზოგადოების სასახურში **რუსებით შეცვლა,** მთავარი კანტორა უმორჩილესად გთხოვთ, ყველა საჭირო ცვლილების შესახებ, რაიც რა პირობებშიც არ უნდა მოხდეს, ყოველთვის წინდაწინ შეატყობინოთ ამას. უმთავრესად სასურველია ვიცოდეთ ფოთის სააგენტოში მოსამსახურეთა გაძევების, ან მათ მიერ თავის განებების შესახებ, როგორც ამას უკვე ჰქონდა ადგილი.

თქვენ მიერ ამგვარი ცნობის მთავარ კანტორაში გამოგზავნის შემდეგ, უნდა ეროუცადოთ მის განკარგულებას შესახებ ადგილების შევსებისა, ან ახლის დანიშვნისა. დირექტორი რეევსკი. ექსპლოატაციის ინსპექტორი ა. სძირნოვი“.

აი, ძეორე დოკუმენტიც. ესეც სიტყვა-სიტყვით მოგვყავს: „მთავარი კანტორა. კომერციული ნაწილი. № 646/ბ. ნ. ოდესა 5/1, 1910 წ. საზოგადოების აგენტს ფოთში. თქვენი წერილის, 27 გასულ დეკემბრის № 100/ა, პასუხად, მთავარი კანტორა ამით უფლებას გაძლევთ თქვენ გაადიდოთ შტატი მოსამსახურეთა თქვენს ხელ-ქვეით მყოფ სააგენტოში კანტორის სამი დამატებითი მოსამსახურის მიღებით, რომელთაც 25 მანეთი ექნებათ ჯამაგირად თვეში თითოთოს. „ახალი მოსამსახურენი **უნდა იყვნენ უსათუოდ რუსები,** რადგანაც 1903, 1904 და 1905 წლებმა დაამტკიცეს, რომ საზოგადოების ინტერესები უზრუნველ ყოფილი არ იყო წინანდელ მოსამსახურეების დროს. ჩვენ გვგონია, რომ თქვენ შეგეძლოთ მიგეწვიათ სანსახურში სათადარიგოდ ჩარიცხულნი საბჭოლრო მწერლები, რომელთაც ექნებათ კარგი რეკომენდაცია თავიანთ უფროსებისგან.

კეთილ ინებეთ და გამოგზავნეთ მთავარ კანტორაში ნამსახურებითი ფურცლები ამ ახალ მოსამსახურეთა. კომერციული ნაწილის უფროსი ა. სძირნოვი“

ეს მასალა მიაწოდეს დეპუტატს, რომელიც ამას და სხვა მზგავს მასალას სათათბიროში ცალკე შეკითხვის საგნად გამოიყენებს.

დეპუტატმა თანამოაზრე-მეგობრებთან ილაპარაკა სათათბიროში მისი მომავალი მუშაობის შესახებ. მან სთქვა: მე ვადგენ ჩვენში ერობის შემოღების პროექტს. ამის შესახებ მეფის მოადგილე სათათბიროში, მე წარვუდგენ ჩემს პროექტს და ამით ვაიძულებ ამ საკითხის დაჩქარებასო. დეპუტატი, სხვათა შორის შეეხო მისს და ე. გეგეჭკორის სამედიატორო სამართლის მსვლელობას და ბევრი რამ ჩვენთვის საიდუმლო ნათელი და ცხადი გახდა.

მეორე დღეს დეპუტატმა ინახულა კუნძულზე მდ. რიონის მიდამოები, სადაც ბევრი ადგილი მოურღვევია წყალს. მოსახლეობა უფრო ღარიბი ნაწილი იძულებული შეიქნა გადაბარგულიყო სხვაგან. წყალს ჩაუნთქავს, მაგალითად, ამანო—ბეტონის პატარა შენობა ფრანგის სკრიპუნასისა. ამ ადგილზე დეპუტატს ათამდე კაცი დაუხვდა; შესჩივლეს გაჭირვება და აუხსნეს ყველაფერი. დეპუტატმა ურჩია: ეხლა, ახალი კანონის ძალით, სახელმწიფო ბანკმა ამგვარ საჭიროებისათვის დახმარება უნდა გაუწიოს ხალხს. ამ მიზნით გადადებულია 17—18 მილიონი მანეთი. თქვენ სთხოვეთ ქალაქის თვითმართველობას, შეადგენინოს ინჟენერს ხარჯთაღრიცხვა, თუ რამდენი მოუნდება ჯებირის გაკეთებას და აღძრას შუამდგომლობა. როდესაც ასეთი შუამდგომლობა იქნება, მე მეტი საშუალება მექნება მოვითხოვო ფულის გადადება. დეპუტატმა სთხოვა ამ საქმის ინიციატორობა მიხა ესაკიას და თან დასძინა, რომ, რაკი მდინარე სხვა მოსახლეებსაც წალეკვას უქადის, მალე იქნეს შუამდგომლობა აღძრული ქალაქის თვითმმართველობის წინაშეო. მოსახლეებმა მადლობა უთხრეს დეპუტატს.

შემდეგ ამისა დეპუტატი მოელაპარაკა პოლიციმეისტერს მუშების განთავისუფლების შესახებ. პოლიციმეისტერს უთქვამს, რომ იმათი განთავისუფლება გუბერნატორის საქმეაო. ამის გამო დეპუტატმა დეპეშა გაგზავნა პეტერბურგს. აი დეპეშის შინაარსიც: „პეტერბურგი. სახელმწიფო სათათბირო. კერენსკის. რუსეთის სანაოსნო საზოგადოების მუშათა არტელის და სბროიავაკის ხე-ტყის ქარხნის მუშების გაფიცვის გამო შეჩერებულია ექვსასი მუშა. უკანასკნელთა გაფიცვა თვეზე მეტი გრძელდება. პირველად ადმინისტრაცია არ ერეოდა საქმეში, ეხლა კი დაჰპატიმრა ათი კაცი. ამასთანავე ხმარობს ორიგინალურ საშუალებას: ქარხნის კანტორა გაფიცულ მუშების პასპორტებს პოლიციმეისტერს უგზავნის. უკანასკნელი თავის მხრით უგზავნის რა პასპორტებს მაზრის უფროსებს, აპატიმრებს მუშებს და აგზავნის მათ ეტაფით თავ-თავიანთ მაზრაში. მოელაპარაკე, სადაც საჭიროა. ამის შესახებ აქ, რაც საჭირო იყო, გავაკეთე“. გელოვანი. დეპუტატი გუბერნატორსაც სთხოვს განთავისუფლოს მუშები და ადმინისტრაციის თავ-აშვებულობას და უკანონობას საზღვარი დაუდოს.

მოგეხსენებათ, რომ ქართული ენა ადგილობრივ სასწავლებელებში შევიწროვებულია. აქაურს გიმნაზიაში, მაგალითად, ქართული ენა არ შედის სავალდებულოს განთარიცხვში, ხოლო სახელოსნო სკოლიდან სულ-ერთიან განდევნილია. უკანასკნელის ერთმა მასწავლებელთაგანმა კურიოზული ამბავი მოუთხრო დეპუტატს ამის შესახებ: ერთმა მოსწავლემ თურმე თავის მშობლებს ქართული ბარათი მისწერა რუსული ასოებით, ასეა ჩვენი საქმე და გთხოვთ დახმარებასო—უთხრა მასწავლებელმა. მასწავლებელმა ზოგი ცნობები იქვე მიაწოდა. სხვა მასწავლებლებმაც შესჩივლეს და აღუთქვეს დეპუტატს მასალების მიწოდება.

დეპუტატი ძალიან კმაყოფილი დარჩა ამ მოგზაურობით და 19 ამ თვეს დილით გაემგზავრა ზუგდიდს.

დასასრულ არ შემიძლია მკითხველის ყურადღება არ მივაქციო ერთ გარემოებას. ნავთსადგურში დეპუტატმა ხახა რუსეთის სანაოსნო არტელის გაფიცული მუშა და უთხრა: გამოგზავნეთ ჩემთან კაცი და მასალები მომაწოდეთ თქვენი ჭირ-ვარამის შესახებაო. ამაზე მუშამ უპასუხა: „ჩვენ გვყავს ხელმძღვანელი კომისია და იმას დაეკითხებითო“. შემდეგ მუშები არ გამოჩენილან. ალბად კომისიის ვეებატონებმა არ დართეს ნება მუშებს, რათა იგინი მისულიყვნენ სხვა მიმართულების დეპუტატთან და მიეწოდებინათ მისთვის მასალები. აი, რა წერტილს მიაღწია უაზრო ფანატიკოსობამ.

N.

## † ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲥᲐᲚᲐᲜᲗᲐᲠᲘ

საშინელი უბედურება დატრიალდა ხოჯივანქის სასაფლაოზე კვირას, 20 ოქტომბერს, ნაშუადღევის 12½ საათზე.

სომხის ცნობილი რომანისტის და მგოსნის რაფის სიკვდილიდან 25 წლის შესრულების გამო დანიშნულ პანაშვიდის დროს, გულის სიგანივრით უეცრად გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, გაზ. „მშაკის“ რედაქტორი ალექსანდრე ჰაირაპეტის ძე ქალანთარი, რომელსაც კავკასიაში ყველა კარგად იცნობდა.

ა. ქალანთარი დაიბადა ერევნის გუბერნიის სოფ. ზემო-აქულში 1855 წ. 20 სექტემბერს. საშუალო სწავლა მიიღო ქ. ბაქოს რეალურ სასწავლებელში, ხოლო უმაღლესი განათლება მოსკოვის პეტროვო-რაზუმოვსკის სამეურნეო აკადემიაში, რომელიც გაათავა 1879 წ. აგრონომის კანდიდატის ხარისხით.

ამ დღიდან იწყება მისი საზოგადო ასპარეზზე მუშაობა. სომეხთა ცნობილ პუბლიცისტის გრიგოლ არწრუნის სიკვდილის შემდეგ, იგი მიიწვიეს „მშაკის“ რედაქტორად და ამ დღემდე, 20 წლის განმავლობაში ასრულებდა ყოველდღიური გაზეთის რედაქტორის ძნელს თანამდებობას.

რამდენიმე წლის წინად განსვენებულის რედაქტორობით გამოდიოდა კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სამეურნეო ორგანო, 4—5 წლის განმავლობაში. იგი ამავე საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგის თანამდებობას ასრულებდა რამდენსამე წელს. 1909 წელს, ნოემბრის 21-ს ზემოხსენებულმა საზოგადოებამ დიდის ამბით გადაიხადა მისი ააგრონომიო მოღვაწეობის 30 წლის იუბილე.

ტრაღიკულად გარდაცვალებულ ალექსანდრე ჰაირაჰეტის ძეს მრავალი ნაწარმოები აქვს გამოცემული მეურნეობის შესახებ, რომელნიც იყოფიან სამ ნაწილად: 1) გამოკვლევა რუსეთის და ამიერ კავკასიის მესაქონლეობის მდგომარეობის შესახებ, 2) მეურნეობის სხვა და სხვა ნაწილის და, განსაკუთრებით, მესაქონლეობის პირობების გაუმჯობესობის და განვითარების შესახებ და 3) პირადი მოღვაწეობა ჩვენს ქვეყანაში ამ საქმის გაუმჯობესების შემოღების შესახებ.

ამ სამს დარგში განსვენებულმა გამოიჩინა საოცარი ერუდიცია და ენერგია.

მისმა დაუღალავმა მუშაობამ და ინიციატივამ შეჰქმნა კავკასიის სომეხთა სამეურნეო საზოგადოება, რომლის თავმჯდომარეც იყო იგი სიკვდილამდე და რომელმაც დიდი ნაყოფი მოიტანა ამიერ-კავკასიაში.

სამეურნეო მოღვაწეობის 30 წლის იუბილეს გამო იგი არჩეულ იქნა კავკასიის სამეურნე საზოგადოების საპატიო წევრად. სომეხთა საზოგადო დაწესებულებებში განსვენებული მხურვალე მონაწილობას იღებდა და ვერ ნახავდით რომელიმე კრებას ანუ საზოგადო საქმეს, სადაც არ შეეტანა თვისი ღვაწლი. გაზეთის ფურცლები საშუალებას არ გვაძლევს, რათა მკითხველებს გავაცნოთ უფრო ვრცლად ამ ფრიად პატიოსანის, ევროპიელის სულით აღზრდილი ადამიანისა და დაუღალავი მოღვაწის ცხოვრება—მოღვაწეობა.

მის ერთს საუკეთესო თვისებას კი ხაზგასმით აღვნიშნავთ: ალ. ქალანთარი არასოდეს არ ყოფილა ვიწრო ნაციონალისტი, რა გვარ თვისებასაც მოკლებულნი არიან ჩვენში მრავალნი მოღვაწენი. მე თვით, ჩემის თვალით მინახავს, თუ როგორის სიამოვნებით აძლევდა რჩევას და ყოველგვარ დახმარებას იგი ყველა ერის გლეხებს, როდესაც იგინი მას მიმართავდნენ ხოლმე რომელიმე თხოვნით სამეურნეო საკითხების გამო.

საზარელი იყო ჩემთვის ის წუთი, როდესაც მან ჩემს ხელში განუტევა სული... ასე გათავდა მრავალ ტანჯულ გლეხობის გულწრფელი მეგობარი. საშინელის ხმით და სისწრაფით უცბად დაეცა იგი, ვითარცა გადაჭრილი მუხა... დაობლდა გლეხობა, გლოვობს საზოგადოება, სტირის ხალხი, რადგან **ადამიანი** ტ **მამა** დაჰკარგეს...

**ა. გასპარიანი.**

## ᲡᲝᲛᲔᲗᲗᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

პარასკევს, 18 ოქტომბერს, სომეხთა იუბილეს გამო, ლიტერატურულ-ხელოვნურ წრის სალონში გამართულ იქნა „ჟურ-ფიქსი“, ეჩმიაძინიდან სრულიად სომეხთა ქათალიკოსის მიერ გამოგზავნილ დეპუტაციის თანადასწრებით. საღამო გახსნა არქიმანდრიტმა ბენიკმა გრძნობიერის სიტყვით და დამსწრეთ აუხსნა სომეხთა დღესასწაულის მნიშვნელობა. შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს: არქიმანდრიტმა გარეგინმა ხელოვნურ ნაწარმოებთა განვითარების შესახებ, ხოლო არქიმანდრიტმა მესროპმა ფრანგულს და ბერძნულ ენებზე დამსწრეთ აუხსნა ამ დღესასწაულის მნიშვნელობა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ტფილისის ბერძენთა დრამატიულ საზოგადოების თავმჯდომარის ბ-ნ ი. გ. ბასტიანოვის მიერ ეჩმიაძინს გამოგზავნილმა მისალოცავ დეპეშამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე, რისთვისაც მამა მესროპმა მადლობა გადაუხადა ტფილისის ბერძნებს. ლიტერატურულ განყოფილების დასასრულს სიტყვები წარმოსთქვეს ეპისკოპოსმა კარაპეტმა, აღ. ქალანთარმა ი. სოკოვიანმა და სხვებმა, რომლის შემდეგ დაიწყო სამუსიკო განყოფილება, რომელმაც კარგად ჩაიარა. დასასრულს სამადლობელი დეპეშა გაუგზავნეს სრულიად სომეხთა ქათალიკოსს, რომლითაც მადლობას უხდიდნენ მის უწმინდესობას იუბილეის მოწყობის გამო. საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო, უმეტეს ნაწილად ინტელიგენცია.

ამ ჟამად ტფილისში იმყოფება პეტერბურგის გაზეთ „პეტერბურგსკ. ვედომ.“-ის თანამშრომელი მიქაელ ალავერდიანი, რომელიც ზემოხსენებულ გაზეთში სწერს განსაკუთრებით სომეხთა ცხოვრების შესახებ. „სახალხო გაზეთის“ სომხურ განყოფილების თანამშრომელმა ინახულა იგი. ალავერდიანმა თვისი კმაყოფილება განუცხადა ა. კასპარიანცს, იმის გამო, რომ იგი მიუდგომლად აცნობს ქართველებს სომხურ ცხოვრებას, და სომხებს კი, „მშაკის“ საშუალებით ქართულ ცხოვრებას.

## Კ. ᲛᲐᲠᲥᲡᲘ ᲓᲐ Ⲙ. ᲑᲐᲙᲣᲜᲘᲜᲘ

ციურიხელი ცნობილი ექიმი ბრუნბაჰერი მოგვითხრობს ბაკუნინისა და მარკსის ურთიერთობას. ბაკუნინის მდგომარეობა ევროპაში, მიუხედავად მისი დიდი სახელისა, ძლიერ მძიმე იყო. თუმცა თვითონ ბაკუნინი ვერ გრძნობდა ამას, გატაცებული იყო მუშაობით, მარად ჰღელავდა, მარად იბრძოდა, მაგრამ დღეს ეს მდგომარეობა მეტად ტრაღიკულად სჩანს. მარქსის და ბაკუნინის უთანხმოება მარტო ინტელექტუალური ხასიათის არ იყო, არამედ ორგანიული, ორი სხვადასხვა გზით მიმავალ ადამიანისა. აღგზნებული, მუდამ გატაცებული სტიქიური აღმაფრენით, ბაკუნინი სულით მარტოკა იყო ევროპაში, ხოლო საერთო აღტყინების დროს მთელი არსებით ჩაერეოდა ხოლმე მოძრაობას და აღარ გრძნობდა მარტოობას. ბაკუნინს ეჯავრებოდა ევროპიელი პოლიტიკანები; მისი ძლიერი, ღია და უმანკო სული მხოლოდ ერთს საქმეს ემსახურებოდა. ბრუნბაჰერი თავის ახალს წიგნში გვაცნობს დაწვრილებით იმ კამპანიას, ბაკუნინს წინააღმდეგ რომ ეწეოდნენ მარქსი და მისი მომხრენი. ბაკუნინს პირდაპირ ჯაშუშობას აბრალიდნენ. ავტორს წიგნში მარქის წერილებიდან ადგილები მოჰყავს, სადაც ის აფრთხილებს თავის მეგობრებს, ერიდონ რუსის ჯაშუშს. ბაკუნინი სწორედ ამ დროს მარქსის „კაპიტალს“ სთარგმნიდა და აღტაცებული იყო მისი გონებითა და ერუდიციით.

შემდეგ მარქსმა „რეინის გაზეთში“, რომელსაც თვითონ რედაქტორობდა, ბაკუნინის წინააღმდეგ წერილები დაბეჭდა, ვითომ და ჟორჟ ზანდის მიერ ნაამბობი. ჟორჟ ზანდმა იმავე გაზეთში წერილი დასტამბა და უარჰყო მთელი წერილის შინაარსი წმიდა წყლის, არა კეთილ-სინდისიერ ტყუილად დასახა.

მარქსს ეჯავრებოდა ბაკუნინი: ეშინოდა უკანასკნელის ძლიერის, მღელვარე ბუნებისა, რადგან ეშინოდა, რომ ბაკუნინს არ დაერღვია მარქსის ლოღიკისა და მშრალი გონების მტკიცე შენობა. ბაკუნინს ძლიერ მოსწონდა მარქსის ღრმა და მშვიდი ცოდნა, მაგრამ, დასძენს ავტორი: „სული ბაკუნინისა თითქმის სანახევროდ შორს იყო მსწავლულობისა და მეცნიერებისაგან. ბაკუნინისთვის წმინდა მეცნიერებაც არ იყო ავტორიტეტი. მისთვის მხოლოდ ერთი ავტორიტეტი იყო: თანასწორობასა, ძმობასა ერთობასა და ერთმანეთის პატივისცემაზე დამყარებული კოლექტიური სული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაკუნინი სწერდა: „მეცნიერება—კომპასია ცხოვრებისა, მაგრამ ეს კიდევ ცხოვრება არაა, ის მხოლოდ ჰქმნის ცხოვრებას. მეცნიერება არაფერს ჰქმნის, მარტო აღნიშნავს, ადასტურებს ცხოვრების ქმნილებას.“

„მეცნიერების ქურუმთ არ ესმით, არცა გრძნობენ ინდივიდუალურს, ცხოველს... იმათ მხოლოდ საერთო ესმითო“.

მეცნიერები ცალკე წოდებას შეადგენენ, ქურუმთა წოდების მიხედვით. მეცნიერული განყენება—აი მათი ღმერთი, ხოლო მსხვერპლი—ცოცხალი, ცოცხალი არსებანი“. ბაკუნინი ქადაგებდა „სიცოცხლის ამბოხებას მეცნიერების ბატონობის წინააღმდეგ“. ცხადია, რა უფსკრული უნდა ყოფილიყო ცოცხალი სულის მოქადაგე ბაკუნინსა და უცოდველ დოგმის ადეპტის მარქსის შორის! მარქსი გონებით სცხოვრობდა, ბაკუნინი კი აღინთებოდა მთელი არსებით. მარქსმა თავის გონებით და შრომით განსაზღვრულ ქეშმარიტებას მიაგნო და აქ შესდგა. გარეშე ბუნების ყველა მოვლენას ამ ყაიდ დოგმას უმორჩილებდა, რადგან მარქსს მუდამ მოძრავი, შემომქმედი სული ჰქონდა და ვერც შეიგნებდა ადამიანის სულის სირთულეს, რომელიც ბუნების მოვლენათა მაგვარად კლასიფიკაციას არ ემორჩილება. ბაკუნინის უმთავრესი იდეა—აბსოლუტური თავისუფლება იყო. მარქსს ეგონა, რომ ჰპოვა განვითარების კანონი. ბაკუნინი შეუძლებლად სცნობდა მომავალის გამოანგარიშებას მეცნიერულად. მარქსის მეცნიერული სისტემის ტირანია, მიუკარებლობა, თავის-თავად იშორებდა ბაკუნინს, რომელიც თავისუფლებისა და ყოველივე ინდივიდუალურისადმი გაფაციცებით თვალყურის მგდებელი იყო. მარქსის ოინები მას დიდხანს არ შეუტყვია, მაგრამ, როცა გაიგო, განმარტა თავისი აზრი და მივიწყა წყენაც. ბაკუნინის სახელი უმწიკვლო იყო ევროპაში, მაგრამ მარქსის კამპანიამ ბევრი ჩამოაშორა. მარტოდ-მარტო მოკვდა ბერნში და იქვე დაასაფლავეს. მის დასაფლავებაზე მხოლოდ რამდენიმე კაცი შეიკრიბა უკახასკნელად პატივის საცემლად. ევროპას მოსვენება სწყუროდა. ხალხის სტიქიური მოძრაობა დასრულდა. დიდი გმირი, რომელიც განსახიერება იყო ნებისა, მისწრაფებისა, მიხვდა, რომ დიდხანს მას აღარავინ მოუსმენდა და ხალისით მოკვდა.

## ᲬᲘᲙᲘᲞᲣᲠᲗᲔᲑᲘ

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ბ. ნარიძის ისტორიულ-პოლიტიკურ-ეკონომიური გამოკვლევა „კულტურული აღორძინება ყოფილ საქართველოსი მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში“.

წიგნის შინაარსი შემდეგია: 1) დანაწილებული ქვეყნის გაერთიანება. ან რამდენიმე საქართველოს ერთის ბიუროკრატიის ხელქვევით შეერთება, 2) გაუნათლებელი ქართველი ხალხის ჩრდილოეთის მაღალ კულტურასთან დაახლოვება, 3) ბიუროკრატიის განმანათლებელი მისსია, 4) ბიუროკრატიის მზრუნველობა ქართველი ხალხის ქონებრივი წარმატებისათვის, 5) ბიუროკრატიის მოღვაწეობა ხალხის ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად, 6) ბიუროკრატიას მეცადინეობა ხალხის თვითცნობიერების გასაღვიძებლად, 7) ქართული ანბანის გამოგონება ბიუროკრატიის მიერ, 8) უცხო ენებიდან წიგნების ქართულად გადმოთარგმნა და გავრცელება ბიუროკრატიის მიერ, 9) ღვთის მსახურების გამშვენიერება კარგის გალობით და ეკლესიების გადაკეთება ახალი კულტურული გეგმისთანახმად, 10) აყვავება ქართველი ხალხის შემოქმედებისა ბიუროკრატიის გავლენით.

წიგნი დასაბუთებულია „სტოლონაჩალნიკების“ მიერ შეგროვილის, სტატისტიკური უტყუარი ცნობებით და დასურათებულია გამოჩენილი ბიუროკრატების პორტრეტებით.

წიგნის დამატებაში დაბეჭდილია პ. გელეიშვილის წერილი: „ილია ჭავჭავაძე, როგორც ძველი საქართველოს წარმომადგენელი ტ. ბატონყმობის მქადაგებელი (გაბრო, კაკო, გიორგი, ოთარაანთ ქვრივი).

**ᲩᲕᲔᲜ.**

## Ბ-Ნ ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘᲡ

**ჩემდამი ღია წერილის პასუხის მაგიერი.***)

მე ჩიქოვანის ღია წერილზე პასუხი საჭიროდ არ მიმაჩნდა და ეს იმიტომ კი არა, რომ ვითომ მე „ჩინოვნიკების“ გარდა სხვას არავისა ვცნობ ღირსად „პატივცემულ მოქალაქის სახელის ტარებისა“, არამედ იმიტომ, რომ დარწმუნებული ვარ, სურამის და ხაშურის საზოგადოება საკმარისად დააფასებდა ამ წერილის ღირსებას, ხოლო ისინი-კი, ვინც მე მიცნობს და ყურს ადევნებს ჩემს თხუთმეტი წლის ვეჭილობის ასპარეზზე მოქმედებას, ყურადღებას არ მიაქცევდნენ ჩიქოვანის წერილს. ამასთანავე ჩვენ, ქართველებს, ჩვენს დღევანდელს ქერქში და ვარამში, არც დრო გვაქვს რაღაც ცილისწამების დარღვევას გამოუდგეთ ხოლმე და არც ჩვენს პრესას აქვს იმდენი მოცლილი ადგილი, რომ ამგვარ, საზოგადოებისათვის თითქმის უმნიშვნელო კამათს დაუთმოს იგი.

ხოლო, რაკი რამოდენიმე ალაგას საზოგადოებაში გამოითქვა სურვილი ქეშმარიტების გაგებისა და რაკი რამოდენიმე პატივცემულმა ჩემმა მეგობარმაც პირადად გადმომცა, რომ საჭიროა სიმართლე აღვადგინო, ვწერ ამ წერილს, არა პასუხად, არამედ სიმართლის გამოსათქმელად.

ღმერთმა დამფაროს ორჯელ და სამჯერ ერთი და იგივე ვალის გადახდევინებისაგან! ერთხელაც რომ გადავახდევინებ, მაშინაც ვნანობ ხოლმე. **„ვითომ მე ცნობის მიუცემლად სკოლის კარებს მივადექი პრისტავთან ერთად და გამოსაცდელად მისულ მოწაფეებს გამორეკვას დავემუქრე“** (?!?) ეს სეთი ტყუილია, რომლისათვის ამის მომგონი მართლაც რომ ერთი ორი თვე ციხეში დასამწყვდევია. მაგრამ ეტყობა ჩიქოვანს კარგად სცოდნია, რომ მე ადვილად მიუტევებ ხოლმე დამნაშავეთ მათ ცოდვას და არ მიყვარს ჩივილი, თორემ ამგვარ ტყუილის მოგონებას ჩემზე ვერ გაბედავდა. მე არც სკოლის კარებს მივდგომივარ (ეხლაც არ ვიცი, სად და როგორ სახლშია მოთავსებული სკოლა), არც მუქარები გამომითქვამს.

შარშან ზაფხულს მე მომმართა შატბეროვისამ, ხაშურის პროგიმნაზიის მასწავლებელმა ქალმა, და მთხოვა: შველა გამეწია პროგიმნაზიის კომიტეტისაგან ოთხი თვის ჯამაგირის გადახდევინებაში. „დამითხოვეს და ოთხი თვის ჯამაგირს არ მაძლევენო.“ მასთან იყვნენ ორი თუ სამი სხვა მასწავლებელი იმავე პროგიმნაზიისა, რომელთაც შეეოწმეს შატბეროვის ჩივილის სიმართლე და დაუმატეს: შატბეროვისა უმიზეზოდ დაითხოვეს და ასე უსამართლოდ მოექცნენ იმას, ვისგანაც არის პროგიმნაზია დაარსებული და ურომლისოდ ხაშური თითქმის რომ ვერ ეღირსებოდა სასწავლებლის დაარსებასაო.

მე სიამოვნებით ვიკისრე შატბეროვის საჩივრის დაცვა სასამართლოში. შატბეროვისას მსაჯულმა სამი თვის ჯამაგირი გადაუწყვიტა და მეოთხე თვის ჯამაგირზე უარი უთხრა. ეს გადაწყვეტილება მე გავასაჩივრე და ოლქის სასამართლოს ვსთხოვე მეოთხე თვისაც გადაეწყვიტა. გაასაჩივრეს აგრედვე კომიტეტის წარმომადგენლებმაც და სთხოვდნენ უარს მთელს საჩივარზე. ამის შემდეგ მე შატბეროვისა არ მინახავს და მისგან არც რამე წერილი მომსვლია. ხოლო ამ წლის მარტში საოლქო სასამართლომ გაარჩია საქმე და შატბეროვისას მიუსაჯა მეოთხე თვის ჯამაგირიც. კომიტეტის აპელაცია უყურადღებოდ დასტოვა და კდეც დააკისრა კომიტეტს შატბეროვის სასარგებლოდ „იზდერჟკა“.

მე ჩემი საქმე ავასრულე. აღმასრულებელი ფურცელი, არც მოსამართლისაგან, არც საოლქო სასამართლოში არ ამიღია. „დასჭირდებათ, შემატყობინებენ და მაშინ ავიღებ-მეთქი“. ამ ზაფხულს, აგვისტოს შუა რიცხვებში მე სოფლიდან ჩამოველ ქალაქს და ამ დღეებში მოვიდნენ ჩემთან შატბეროვები: ცოლი და ქმარი და მთხოვეს: „ლისტი“ აიღეთ და „პრისტავს“ გადაეცითო. ლაპარაკის დროს ქმარმა შემომჩივლა: „ჩემი ცოლი მოატყუილეს: ოცი თუმანი მისცეს იმ ფულში, რაც ეკუთნოდა და ხელწერილი ჩამოართვეს, რომ სრულად მიიღო ფულიო. ეს მოხდა შარშან ოქტომბერში თუ ნოემბერშიო“. მე მივუგე: ამგვარ მოტყუებით გამორთმეულ ხელწერილს არაფერი მნიშვნელობა არა აქვს-მეთქი.

როცა მე ამის შემდეგ სურამს რამოდენიმე დღით წავედ, შატბეროვისას ჩავუტანე „ლისტი“. ეს „ლისტი“ შატბეროვისამ თავის ნათესავს გადასცა. რა აზრით გადასცა, ეს მე არ შემეხება და არც ვიცი, ხოლო გადაცემას საქმის ვითარება არ შეუცვლია. ეს ხვა პირი დავალებული იყო მიეღო მხედველობაში ყველა ის საბუთი, რომელიც შესაძლო იყო შატბეროვის წინააღმდეგ წამოყენებიათ. სხვათა შორის შატბეროვისაგან მიღებული 200 მან. ამას ნება არა ჰქონდა მეორედ მეოთხოვა. როცა ეს „ლისტის“ პატრონი და ბოქაული ჩავიდნენ ხაშურს, ამათ მეც გავყევი (იმ დღეს ბორჯომში წასვლას ვაპირებდი). მისვლისათანავე ჩვენ შევედით რკინის გზის სადგურში და ვინახულეთ ჩიქოვანი, რომელიც იქვე, ბუფეტთან იდგა. ჩიქოვანმა შატბეროვის „რასპისკა“ წამაკითხა. ხელწერილი სულ სხვა შინაარსისა გამოდგა, ვიდრე მე გადმომცეს შატბეროვებმა ქალაქში. ხელწერილი ამ. ბობდა: „მივიღე სრული კმაყოფილება ტ ვალდებულ ვარ საქმე გავაუქმოვო“. ცხადია, შატბეროვებს დაავიწყდათ ამ ხელწერილის შინაარსი, თორემ მე ასე გადასხვაფერებულად არ შემატყობინებდნენ. მაინცა და მაინც, როგორც მე გამოვიკვლიე, შატბეროვისას მარტო ოცი თუმანი მიეღო და არა მეტი. თუმცა კანონისძალით ამგვარ ხელწერილს არა ჰქონდა „ლისტის“ გაუქმების ძალა (ხოლო იმ გვარი ხელწერილი, რომელშიაც მოხსენებულია, რომ ამადამ „ლისტის“ მთელი კმაყოფილება არის მიღებული, აუქმებს „ლისტს“) მიუხედავად ამისა იქვე, ბუფეტში, გადავწყვიტეთ, მოგვეთხოვა მარტინ, მეოთხე თვის ფული, რომელიც სასამართლომ ხელწერილის შემდეგ გადაუწყვიტა შატბეროვისას. ჩიქოვანმა ამ ფულის თაობაზედაც ვაჭრობა დაიწყო და ბოლოს კომიტეტმა და „ლისტის“ მოსაკუთრემ მორიგებით 70 მანეთზე გაათავეს საქმე.

ნაფიცი ვექილი **გ. გძელიშვილი.**

(დასასრული იქნება)

## ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

**ქართული თეატრი.** ვ. შალიკაშვილის „გადაჭრილი მუხა“ კარგს შთაბეჭდილებას ახდენს თავის პოლიტიკურ-სოციალურ ტენდენციით, თუმცა აქაც მხატრული შემოქმედება ნაკლებია. პიესა პუბლიცისტური ხასიათისაა, ეხება ჩვენი ინტელიგენციის მაღალ წოდებას იმ უნიადაგობას, რომელიც დასურათებულია მისსავე „უნიადაგოებში“ ხოლო პირველის შინაარსი უფრო-ოჯახურ-საზოგადოებრივია, მეორესი-ეროვნულ პოლიტიკური. მართალია, ჩვენში ჯერ არ გამოსულან გარკვეულად ნიკოს, გოლას, ნინოს და სხვებისთანა გმირები, მაგრამ ექვს გარეშეა, რომ ჩვენს ცხოვრებას ყოველ დღე უფრო და უფრო ემჩნევა ის მოდრეკილება, რომელსაც გვიხატავს „გადაჭრილი მუხა“: ჩვენ არ ვაქცევთ ჯეროვანს ყურადღებას სოფელს, მიწას და უცხოელი, საშინელის სახით, წამოსკუპდება გავერანებულის ძამულის გადაჭრილ მუხაზე და დაცინვით მიგვითითებს ყოფილ მეპატრონეებს კარებზე-გაეთრიეთო!.

პიესას მნიშვნელობა აქვს, როგორც ჩვენი ცხოვრების ზოგიერთი მხარის სიმბოლიურ გამოსახულებას და არა როგორც ნამდვილს სუათს. ასეთივენი არიან მომქმედი პირებიც-იგინი ხორც შესხმული ტიპები არ არიან; უფრო გვიხატავენ თეორეტიულ აზრებს, რომელთაც უმეტეს შემთხვევაში მოქმედებით, საქმით, საქციელით კი არ წარმოგვიდგენენ, არამედ სიტყვით, მსჯელობით. პიესის დიდს ნაკლულევანებას შეადგენს გაჭიანურებული კამათი გმირებს შორის, რეზანიორობა, ხშირად დახავსებული ცნებების ქადაგება.

წარმოდგენამ საერთოდ მწყობრად ჩაიარა. ეტყობა, მსახიობებს როლები შეუთვისებიათ. საზოგადოებას პიესა მოსწოს; თეატრი თითქმის სავსე იყო; ავტორს გამოუძახეს.

არ შეგვიძლიან კიდევ ერთხელ არ აღვნიშნოთ ზოგიერთ მაყურებლების ყოვლად შეუფერებელი საქციელი: ულალაგო ალაგს ყვირილი, ტაშის ცემა და ხმაურობა. **კ-**

## ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**19 და 20 ოქტომბერი.**

**ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ.**

**ბელგრადი.** 50 ბულგარელი თავს დაესხა სერბიიდან გადმოსახლებულ 20 ოსმალოს. ოსმალებს მთავრობისაგან ნება დართული ჰქონდათ ბულგარეთის ტერიტორიაზე გადასულიყვნენ.

**მადრიდი.** მაროკოში ოთი ჯარისკაცი მოუკლეს ესპანიელებს.

**ხუელვა.** გაფიცულებმა ცეცხლი წაუკიდეს ალისიას მაღაროს, რომელიც ჩამოინგრა.

**ვისბოური.** (ინგლისი) ექიმ დიმოკის საეჭვო მკვლელობის გამო დიდი დემონსტრაციები ხდება. სიკვდილს ექიმ ამხანაგებს აბრალებენ. ექიმებს ფანჯრები ჩაუმტვრიეს.

**ᲠᲣᲡᲔᲗᲘ.**

**კრონშტადტი.** გერმანიის გემი „დორა გორნი“ ნაზშირით დატვირთულ ნავს დაეჯახა და ჩასძირა.

**რიგა.** განახლდა მუშაობა რუსეთ-ბალტიის „პროვოდნიკისა“, როზენკრანცის, ხასენჰოფის, შტრაუსის, კრუმონის მავთულების სამრეწველოში. რიჰარდის და პოლეს ქარხანაში და ზასენჰოფის საფართლეულოში გაფიცვა გრძელდება.

**ნიკოლაევი.** სამხედრო მინისტრის თანადასწრებით დაუწყეს შენება დრედნოუტს: „იმპერატორიცა მარია“. კრეისერების: „ადმირალ ლაზარევსა“, და „ადმირალ ნახიმოვსა“ და წყალ ქვეშ მავალ გემის „ტიულენსა“.

**პეტერბურგი.** კავკავის გზაზე გაგზავნილი ინჟინერი შეველი იტყობინება, რომ კატასტროფა ბოროტგამზრახველების საქმეა, რომელთაც ლიანდაგი აყარესო.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ნება დართო დეკემბერში ქალქის საწინააღმდეგო სრულიად რუსეთის კრება იქმნას მოწვეული.

ჩაიკოვსკის სტატუის გასაკეთებლად შეგროვილ ფულიდან გადარჩა 33,211 მ. ამ ფულის შემოსავლიდან დახმარება მიეცემა მუსიკის არტისტებს.

შავი ჭირის შესასწავლად ექსპერიმენტალურ ინსტიტუტს 47,590 მანეთი მიეცა შავი ჭირის გამოსაკვლევ საქმისთვის.

პანაშვიდი გადაიხადეს პრეევალსკის სულის მოსახსენებლად.

გაიხსნა სრულიად რუსეთის გომეპატების კრება. კრებას 600 კაცი დაესწრო.

საკანონმდებლო კომისიამ დაადგინა კინემატოგრაფის ლენტებზე გადასახადი და ცენზურა დააწესოს.

**ᲑᲔᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔ.**

**კიევი.** კრების შეწყვეტის წინ კარაბჩევსკი შუამდგომლობს, ოქმში შეტანილ იქმნას მთელი ჩვენება სიკორსკისა, აგრეთვე აღინიშნოს, რომ დამცველებს, პროტესტის განცხადება სურდათ. ზარუდნი საჭიროდ სთვლის ექსპერტს ჩამოერთვას ფურცლები, საიდანაც ექსპერტს ადგილები მოჰყავდა ისტორიულ ნაწარმოებისა, საქმესთან რომ კავშირი არ აქვთ. ზარუდნი აღნიშნავს, რომ ექსპერტი კანონით ვალდებულია ზეპირად ილაპარაკოსო. გრუზენბერგი მოითხოვს ოქმში აღინიშნოს, ექსპერტი რომ თავმჯდომარემ შეაჩერა, როდესაც სარატოვის ამბავს მოუთხრობდა. თავმჯდომარე წინად ვთხოვე მარტო იუშჩინსკზე ელაპარაკნა. ბრალმდებელი გაიკვირვებს, თუ რისთვის სწუხან დამცველები, როდესაც მათი ინტერესი არ დარღვეულაო. სიკორსკი ისტორიულ ცნობებს გვიამბობს, რაც ალბად დასკვნისთვის სჭირდება ექსპერტსო. შმაკოვი ამართლებს ექსპერტის ლაპარაკს და დამცველების პროტესტს უადგილოდა სთვლის. შმაკოვის აზრით დამცველებს სურთ, ექსპერტს პირი შეუკრანო. ზამისლოვსკი აცხადებს, ექსპერტმა ანალოგიურ პროცესის თაობაზე ილაპარაკა, აგრეთვე იქცევიან დამცველები. როცა ამას დამცველები ჩადიოდნენ, არავინ არაფერს ამბობდა, ხოლო როდესაც მსწავლული ექსპერტი ებრაელებისთვის არა სასიამოვნოს, ამბობს, მას ლაპარაკს არ აცლიანო. თავმჯდომარე შენიშნავს აძლევს ზამისლოვსკის ურიგო სიტყვისთვის ზამისლოვსკი: უნებურად წამომცდა. მაკლაკოვი მოითხოვს ოქმში შეიტანონ ზამისლოვსკის სიტყვები, რომელიც მას ორჯერ უნებურად წამოსცდაო. თავმჯდომარე განმარტავს: პირველჯერ არ გამიგონია, ხოლო მეორეჯერ შენიშნვა მივეცი. მაკლაკოვი შუამდგომლობს, ყველაფერი, რაც აქ, სასამართლოში, ხდება ეხლა, ოქმში იქმნას შეტანილიო. შმაკოვი მოითხოვს, ოქმში შეიტანონ შემდეგი: დამცველები ნაფიც მსაჯულთა გადასაჯერებლად ისეთს განცხადებებს არდგენენ, რომელიც ექსპერტიზის კრიტიკას შეიცავსო. ზარუდნი: ჩვენ კანონიერად ვმოქმედებთ და ვიცავთ ბრალდებულს და არა ებრაელებს, არამედ რუსის სამართალს. თავმჯდომარე: თქვენ რუსის სამართალს ნუ იცავთ. ზარუდნი: ვაი, რომ გვიხდება დაცვა! თავმჯდომარე: მე გთხოვთ უადგილო სიტყვების გამო დასტოვოთ დარბაზი.

ზარუდნი: ეს თქვენი საქმეა. დასასრულ ზარუდნი შუამდგომლობს სიკორსკის ამონაწერები საქმეს შეუსერთონ, მაგრამ სასამართლო უარს ეუბნება მე-628 მუხლის ძალით.

სიკორსკი ამბობს, მკვლელებს როლი განაწილებული ჰქონდათო. გაჭრის დროს აღნიშნული ტანსაცმელი პირის გაფითრება და სისხლის ჩაქცევა შიშით აიხსნებაო. შიში და ცნება ტანჯვამდე ჰქონდა, ხოლო შეიძლებოდა ცნება დროებითი არ ჰქონოდა. ტანის ნაჩხვლეტები მხოლოდ სისხლის გამოსატანად იყო ნამოქმედი. არ არის საბუთი, რომ იუშჩინსკის თავის დაცვისთვის ებრძოლოს. წვალება 15—25 წუთამდე გაგრძელდებოდა. სისხლი ნახევრამდეა დაცლილი. ეს ჩვეულებრივი ნიშნებია სასიკვდილო. ბავშვის მკვლელებს მიზნად არა ჰქონიათ ბავშვის წვალება. ძვილად ბავშვის წვალება დიდ ხანს გასტანდა, ეხლა ტექნიკა შეიცვალა. ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვა უცილობელია. ძნელია მკვლელების პროფესიის გამოცნობა. მკვლელებს ანატომიიდან ცოტა ცოდნა ქონდათ ტ მკვლელობა გეგმით შეასრულესო. შეიძლება დავასკვნათ, რომ მკვლელი სალახი იყო, ან იცნობდა პირუტყვის დაკვლის საქმეს. სიკორსკი შეკითხვაზე უპასუხებს: ვიყავი პროფესორად სასაართლო პსიხოლოგიისა და პსიხიატრიისა, მაინტერესებდა შედარებითი სასამართლოს პსიხოლოგია, დაწერილი მაქვს სამეცნიერო შრომანი. შმაკოვს უპასუხებს, პირზე ხელის წაჭერა ხელს უწყობს სისხლისაგან დაცლასო. კარაბჩევსკი იკითხავს, რომელ სამეცნიერო წიგნებში ამოიკითხა ექსპერტმა, თითქოს ბავშვების დასახოცად ებრაელებს ვანსაკუთრებული იარაღები აქვთ. სიკორსკი ამბობს, ალბად ასეთ ნაწარმოებთათვის არსებობს ცენზურა, არც ენციკლოპედიურ ლექსიკონებშია რამ ამის თაობაზეო. კარაბჩევსკი კითხულობს, იყო თუ არა ნაჩხვლეტი ჭრილობა სარატოვის საქმეში. სიკორსკი ამბობს; ვიცი ჭრილობების ხასიათი, მაგრამ აკრძალული მაქვს თავჯდომარისაგან სარატოვის პროცესზე ლაპარაკი.

**ᲑᲔᲢᲢᲔᲠᲔᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐ.**

ბეტტერევი ამბობს, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ მკვლელობა სულით ავადმყოფთა და ეპილეპტიკთა საქმე იყვეს. ალკოგოლიკებსაც შეუძლიათ რთული ხასიათის მოქმედება შეასრულონ, მაგრამ იუშჩინსკის საქმეში ეგეთი მკვლელობის კვალი არ მოიპოვება. არც სქესობრივ გაღაყვნილების საქმეა მკვლელობა, რადგან პირველი ჭრილობა თავში მიუციათ, რაც სადისტების მოქმედებას არ შეესაბამება. სისხლი თუმცა ბლომად არის დაცლილი, მიგრამ სხეული სისხლით სავსებით დაცლილი არაა. იარაღი, რომლითაც ვითომ უნდოდათ სისხლის დენა გამოეწვიათ, მიზნის შესაფერი არაა. არცერთი ჭრილობით არაა გაჭრილი მთავარი ძარღვი, არც თავში დარტყმით შეიძლებოდა სისხლის დენა გამოეწვიათ; ჭრილობათა მდებარეობა არ შეეფერება მთავარ ძარღვის მდებარეობას. ჭრილობათა მთელი რიგი, რომელიც გულის შეესუტების შემდეგ მოუხდენიათ, სისხლის დენას ხელს არ უწყობდა. იუშჩინსკის სხეულის მდგომარეობა, რამდენიმედ მარცხნივ გადახრით ზეზე დგომა, სისხლის შესაგროვებლად ხელს შემწყობ პირობას არ წარმოადგენს. თავის დახრით სხეულის დაკავება არა სჩანს. ამასთან ის აზრი, რომ ბევრი ჭრილობა სისხლის დასადენად იყო მიცემული, ნაკლებად დასაჯერებელია. პირველად დარტყმის და ჭრილობის მიცემის შემდეგ შეჭერება, ალბად, გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მსხვერპლმა დაკარგა გონება და კარგა ხანს უძრავად იყო, შემდეგ, როცა სულთბრძოლა დაიწყო, მკვლელთ მოინდომეს მისი ბოლოს მოღება და ისევ ცემა დაუწყეს; ამას განსაკუთრებით მოწმობს 8 ჭრილობა, რომელიც აქვს გულში, რაც იმასაც მოწმობს, რომ მკვლელი აჩქარებულა და საქმის დამთავრება მოუნდომებია. ბეტტერევის აზრით იუშჩინსკის ჭრილობები სამ კატეგორიად გაიყოფა. პირველი—გულის სწორად მუშაობის დროს მიცემული; უმთავრესად თავში და კისერში; მეორე ზურგში და თეძოებში; მესამე—გულში. პირველ ჭრილობების სიმძიმეს და სიღრმეს თუ მხედველობაში მივიღებთ, უნდა ვიფიქროთ, რომ მკვლელთ განზრახვა ჰქონიათ მსხვერპლისთვის სიცოცხლე მოესპოთ. ამის მიზეზი ბევრი რამ შეიძლებოდა. შეკრებილ ცნობების მიხედვით კი ამის დასახელება შეუძლებელი ხდება. პროფესიით კი მკვლელი ისეთი ვინმე უნდა ყოფილიყო, რომელსაც საქმე ჰქონია „სადგისთან“. მკვლელის ეროვნებაზე რაიმე გარკვეული აზრის შედგენის ნებას არ გვაძლევს საქმის ვითარება-ცნობები. ბეტტერევის აზრით, შეუძლებელია აქ რელიგიურ ეროვნულ-ნაციონალურ ელფერი ჰქონდეს. რაც შეხება ზოგ ჩვენებას, საქმის ჩხრეკა-ძიების აქტების და თვით რიტუალურ მკვლელობის დამმოწმებელი სასულიერო პირების—არქიმანდრიტის და ქსენძის—არეულ ცნობებს, უნდა ითქვას, რომ ბევრი ჭრილობის ხასიათი, მართლაც. წააგავს ხსენებულ რიტუალურ მკვლელობას, მაგრამ ისიც სახეში მისაღებია, რომ ასეთ ჭრილობებს ხშირად უბრალო მკვლელობის დროსაც აძლევენ ხოლმე. გრუზენბერგის შეკითხვაზე ბეტტერევი უპასუხებს: ბევრი საბუთია იმისი, რომ სისხლის მოგროვება არ ჰქონიათ მკვლელებს მიზნად: მჩხეტავი იარაღი სულაც არ არის მთავარი ძარღვის გამჭრელი იარაღი; საფეთქლის ძარღვის მდებარეობა ისეთია, რომ მის გასაკვეთად საჭიროა ბასრი რამ მჭრელი იარაღი და არა მჩხვლეტავი. პირის დახშობა და გულში იარაღის ჩარტყმა ეს მკვლელის ჩვეულებრივი საშუალებაა ამ საქმეში — პსიხო-პატალოგიურ თხზულებებში სულაც არ არის ნაჩვენებ-ნახსენები, თუ რა საშუალებას ხმარობენ ებრაელები სისხლის მოსაგროვებლად. პროკურორის შეკითხვაზე—რატომ არის რომ საფეთქელში 13 ჭრილობა მიუციათ, ხოლო გულში კი 8—ბეტტერევი უპასუხებს, რომ, მისი აზრით, საფეთქელის 14 ჭრილობას არც მოკვლა შეეძლო და არც სისხლის დადენა. მაშ, რად დასჭირდათ მკვლელებს ასეთი ჭრილობების მიცემა? კვლავ ეკითხება პროკურორი. ბეტტერევი ამაზე უპასუხებს: გვამს სხვა ადგილებზე კიდევ უფრო სუსტი და უმნიშვნელო ჭრილობებიც აქვსო. ბეტტერევი აცხადებს, რომ ყველა იმ საბუთის ძალით, რაც მათ მოეპოვებათ, ვერ დარწმუნდა, რომ ეს მკვლელობა რიტუალური, რელიგიური იყოს. ექსპერტი კარპინსკი აცხადებს, რომ ის სრულიად ეთანხმება ბეტტერევს.

კარპინსკის აზრით შეუძლებელია ჭრილობების რიცხვის თაობაზე დანამდვილებით თქმა: ითოხმეტია, თუ ცამეტი, რადგან ძნელია პრეპარატით ამის გაგება. კოსოროტოვი ბეტტერევის სიტყვების გამო—რომ მსხვერპლს არ უბრძოლიაო—ამბობს გაჭრის დროს სახე დაეფეთილი ჰქონდა, პირზე ხელის დაფარება მოწმობს მსხვერპლის ყვირილს. სისხლის მოგროვების საკითხი მედიცინის საქმე არ არის. შემდეგ განმარტებას იძლევა კადიანი და სასამართლოს წევრს იურკევიჩს უპასუხებს: პირველსა და უკანასკნელ ჭრილობათა შორის 20 წუთამდე გავიდოდა, თუმცა დროს აღნიშნვა დანამდვილებით არ შეიძლებაო. დამცველები რამდენიმე კითხვას აძლევენ ბეტტერევს, რომელიც თავის დასკვნას ადასტურებს. ექსპერტებს ანთავისუფლებენ სხდომაზე დასწრებისაგან. ბრალმდებელი და ზამისლოვსკი შუამდგომლობენ გამოქვეყნებულ იქმნას: სარატოვის საქმის გამომძიებელის ოქმი, მე-53 ნომრის საქმე ებრაელების კომიტეტის თაობაზე, საქმე № 45 ხასიდების თაობაზე და შინაგან საქმეთა დეპარტამენტის საქმეები სარატოვში ურიების მიერ ორი ქრისტიანე ბავშვის მოკვლის თაობაზე. ბრალმდებელი ძლიერ საჭიროდა სთვლის ამ საქმეების გამოქვეყნებას, რადგან საქმეს სავსებით გააშუქებსო. ზამისლოვსკი მოითხოვს ნეოფიტის წიგნის განხილვის ოქმისა და ლევინსონის ნაწერების გამოქვეყნებას. დამცველები აცხადებენ: სასამართლომ არა მსოფლიო საკითხი რიტუალურ მკვლელობისა უნდა გადასწყვიტოს, არამედ ბეილისის საქმე, რომელსაც ბრალი ედება 1453 მუხლის ძალით, უნდა სთქვან, დამნაშავეა ბეილისი, თუ არა? მწვალებლობის საკითხის გამორკვევას ბეილისთან არავითარი კავშირი აქვსო, ამიტომ დამცველები წინააღმდეგნი არიან ბრალის მდებელთა შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქმნეს. დამცველები წინააღმდეგნი არ არიან, ნეფიტის წიგნი, როგორც მეცნიერული, საქმეს ჩაერთოს.

ორი საათის თათბირის შემდეგ სასამართლო აცხადებს: 1) ბერ ნეოფიტის წიგნი, რომელიც გამომძიებელის მიერ განხილული იყო და საქმეში ჩართული, უნდა გამოქვეყნდეს ნაწილობრივ; ამასთან ორივე მხარეს უფლება ეძლევა წიგნის სხვა ადგილების თაობაზედაც შეკითხვები მისცენ ექსპერტებს, რომლებიც ამ წიგნის შინაარს იცნობენ. დამცველებს შუამდგომლობაზე ფრანგულის, გერმანულის და ახალი ბერძნულის ენების მთარგმნელების მოწვევის თაობაზე უარი ეთქვა, **რადგან თვით გადასათარგმნელი მა-**

*) ეს წერილი მოუცლელობის გამო დამიგვიანდა. ჩიქოვანის ღია წერილი დაიბეჭდა 1,სახ. გაზ.-ში 10-ს სექტემბერს.

სალა არ არსებობს. 2) უნდა გამოქვეყნებულ იქმნას შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის ცნობები ხასიდების სექტის თაობაზე. 3) რადგან ხასიდების თაობაზე ლაპარაკი იყო, როგორც საბრალმდებლო, აგრედვე სასამართლოს სხდომაზე, ამიტომ ამ ცნობებს მნიშვნელობა აქვს საქმისთვის. 4) სარატოვისა, ებრაელების კომიტეტის და სარატოვში ორ ქრისტიან ბავშვის მოკვლის თაობაზე ოქმების გამოქვეყნების სასამართლო საჭიროდ არა სთვლის, რადგან საქმესთან ოქმებს პირდაპირი კავშირი არ აქვთ. 5) ისტორიულ-რელიგიური საკითხების გამოსარკვევად მხარეებს უფლება ეძლევა კითხვები მისცენ ექსპერტებს ამ საქმეთა თაობაზე, სასამართლოს აზრით, საქმეების გამოქვეყნება საჭირო არ არის, ამიტომ დაადგინა, გამოქვეყნდეს: ოქმი ნეოფიტის წიგნისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობები ხასიდების სექტის თაობაზე, ხოლო ბრალმდებელსა და დამცველებს უარი ეთქვა შუამდგომლობაზე.

ბრალმდებელი შუამდგომლობს ნება ეძლინეს სარატოვის საქმისა და ვლადიმკის საქმის თაობაზე ილაპარაკოს. ზამისლოვსკი შესაძლებლად სცნობს სარატოვის საქმე ნაწილობრივ მაინც იქმნას გამოქვეყნებული, რადგან თვით განაჩენის გამოქვეყნების თაობაზე სასამართლომ უარი სთქვა. სასართლოს მხრით უარი აძულებულ ჰყოფს სამოქალაქო მოდავეებს უარი სთქვან თავის საქმეზე, რადგან იბადება კითხვა, მივატოვოთ თუ არა საქმე, რადგან აქ ყოფნა უსარგებლო ხდებოა. გამოაქვეყნეს ნეოფიტის წიგნის ზოგიერთი ადგილი, სადაც ებრაელების მიერ ქრისტიანთა სისხლის ხმარებაზე არის ლაპარაკი. წიგნის ადგილები პროფესორ ტროიცკის უთარგმნია ბერძნულისაგან, გამომძიებელის წინადადებით. აგრედვე გამოაქვეყნეს 1853 წლის ებრაელების კომიტეტის ხასიდების საქმე. პირველი ნაწილი ამ სექტის საქმის დახურულ კრებაზე წაიკითხეს, რადგან იქ ქრისტეს სჯულის შეურაცმყოფელი სიტყვები ეწერა. მეორე ნაწილში, რომელიც გარეშეთა თანადასწრებით იქმნა წაკითხული, სწერია: 1841 წელს ბელორუსიაში ხასიდების სექტის მოთავე მენდელ შნეერსონი იყო, რომელიც ყოველნაირად ცდილობდა მთავრობის კეთილ-განზრახვისთვის ებრაელებისადმი ხელი შეეშალა, 1852 წლის რაბინთა კომისიის ჟურნალიდან სჩანს, რომ ცადიკები ყოფილან შნეერსონის შვილი და ძმები, რომელნიც ყოველივე ბოროტებას, მთავრობისადმი წინააღმდეგობას კეთილ საქმედ აღიარებენ. ზამისლოვსკი კვლავ მოითხოვს მისი შუამდგომლობა დაკმაყოფილონ, ნაფიც მსაჯულთ უნდა გაიგონ რუსეთის იმპერატორის აზრი. რუსის სასამართლო ნუ ძალავს ამ აზრს. სარატოვის საქმე ნაწილობრივ მაინც უნდა გამოქვეყნდეს, უნდა გამოქვეყნდეს სახელმწიფო საბჭოს აზრი ამ საქმის თაობაზე. შმაკოვი და ბრალმდებელი ზამისლოვსკის განცხადებას მხარს უჭერენ. ზარუდნი და გრუზენბერგი წინააღმდეგნი არიან საქმის გამოქვეყნებისა. ზარუდნი ამბობს: ბეილისს თავს ვერ მოვახვევთ იმ ბრალდებებს, ბეილისის ქვეყნად გაჩენამდე რომ არსებობდა. გრუზენბერგის აზრით შეუძლებელია სასამართლოს დადგენილების გაუქმება, თუ ახალი რამ საბუთები არ იქმნა დასახელებული; ეგეთი საბუთები კი არავის დასახელებია, თუ ამ საქმეს მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა აქვს, მით უფრო საჭიროა, სასტიკი კანონიერების დაცვა.

დიდი ხნის თათბირის შემდეგ სასამართლომ დაადგინა: სარატოვის საქმის ოქმის გამოქვეყნების შუამდგომლობაზე უარი ეთქვას.

სარწმუნოების ექსპერტებს შემდეგ კითხვებს აძლევენ: 1) რა მნიშვნელობა ჰქონდა სისხლს ებრაელების მიერ ნსხვერპლის შეწირვის დროს. 2) დაბადებაში მოიხსენიების თუ არა ებრაელებს მიერ ადამიანის მსხვერპლის შეწირვა. 3) იეღოვასადმი პირმშოს შეწირვის მაგივრად რას შესწირავენ ეხლა ებრაელები, და მღებულია თუ არა შეწირვა თავისი პირმშოშვილის მაგიერ სხვა ეროვნების მონეგისა. 4) არის თუ არა რაიმე ცნობა დაბადებაში, რომ ებრაელები იეღოვის სამსახურად სთვლიდნენ არა ებრაელის მოკვლას? 5) რას წარმოადგენს არსებითად თალმუდი, შულხანარუხი, კაბალა და რა მნიშვნელობა აქვთ დღევანდელი ებრაელების ცხოვრებისთვის, ხომ არ მოიპოვება ამ წიგნებში ცნობა, ქრისტიანის სისხლის ხმარების თაობაზე. 6) რა ნაირად განმარტავს თალმუდი მოსეს მიერ ებრაელებისთვის სისხლის საჭმელად ხმარების აკრძალვას. 7) რა საშუალებებია აღნიშნული თალმუდში სისხლის საშოვნელად. 8) როგორ უცქერის თალმუდი არა ებრაელს და არის თუ არა იქ ცნობა, რომ სხვა სჯულის ადამიანის მოკვლა იეღოვას სასიამოვნო საქმედ იყვეს. 9) როდის გაჩნდა კაბალა, რა დროს განვითარდა, ან როგორ უცქერის კაბალა თალმუდსა და დაბადებას. 10) როგორ განმარტავს კაბალა დაბადებას. 11) ხომ არ ქადაგებს მწვალებლობას. 12) პირუტყვის მსხვერპლად შეწირვის ნაცვლად, რომელიც ტაძრის დანგრევის შემდეგ აღარ არსებობს, კაბალა რას ქადაგებს. 13) ხომ არ მოიპოვება თალმუდში ან კაბალაში ცნობა, რომ სიტყვები სეირ-კოზელი, სეირ-რომაელი სიტყვის ფართო მნიშვნელობით არიელს ხომ არ ნიშნავს. 14) რა მნიშვნელობა აქვს თალმუდსა და კაბალაში რიცხვს: ცამეტს. 15) სხეულის რომელ ადგილიდან ამოდის ადამიანის სული სისხლთან ერთად თალმუდის ან კაბალის განმარტებით. 16) თალმუდსა და კაბალაში ხომ არ არის ნათქვამი, რომ საშუალო საუკუნოებში სარწმუნოებრივ ფანატიზმისთვის დასჯილი ებრაელები, იეღოვას სასურველი მსხვერპლი იყვეს? 17) როდის გაჩნდნენ ნეოხასიდები და რა დამოკიდებულება აქვთ კაბალასთან. 18) სად გავრცელდა პირველად ნეოხასიდების მოძღვრება, ვინ არის მისი დამფუძნებელი ცნობილი მოწაფე, ვინ არის დამაარსებელი ნეოხასიდების მწვალებლობის ახალი სწავლისა, რომელიც ერთსა და იმავე დროს თალმუდითაც და კაბალითაც სარგებლობს. 19) რა გამოირკვა ლვოვში 1759 წელს ფრანკისტების დისპუტის დროს. 20) ყოფილა თუ არა მაგალითი ჩვენს დროში ან წარსულში, რომ ებრაელი ქრისტიანის წვალებისთვის დაესაჯოთ. თუ იყო ასეთი მაგალითი, თვითონ ებრაელი გამოტყდა დანაშაულობაში, თუ საბუთების მიხედვით გაამტყუნეს. 21) როგორ უცქერის ებრაელობა სისხლის საჭმელად ხმარებას. 22) თალმუდი უზნეო სწავლას ხომ არ შეიცავს. 23) თალმუდში არის თუ არა რაიმე დადგენილება ქრისტიანთა თაობაზე და თუ არის, რა სწერია? 24) რას ეძახის თალმუდი „შვიდს ახალს მცნებას“ და როგორი დამოკიდებულება აქვს თალმუდს ამ მცნების ამღიარებელთან. 25) მოიპოვება თუ არა ებრაელების სარწმუნოების ძველსა ან ახალს „ზაგარში“ და სხვ. ცნობა ქრისტიანთა სარწმუნოებრივ მწვალებლობის თაობაზე. 26) რა მნიშვნელობა აქვს ბიბლიას ებრაელების სარწმუნოებრივ ცხოვრებაში. 27) იძლევა თუ არა საბუთს ძველი აღთქმა, რომ ებრაელები ქრისტიანის სისხლს ხმარობენ. 28) რა მსგავსება ან განსხვავებაა თალმუდსა და დაბადებას შორის, ან იქნებ ქრისტიანის სისხლის ხმარების თაობაზეა იქ რამე დაპარაკი. 29) არის თუ არა იმის საბუთი, რომ იუშჩინსკის მკვლელობა რიტუალურია და რომელიმე სექტის ან სწავლის საქმეა და თუ ეს ასეა, სახელდობრ, რომელი სექტის, თუ სწავლის ამღიარებელის საქმეა.

სასამართლომ დაადგინა ყველა ექსპერტებს ცალ-ცალკე შეეკითხოს და ექსპერტების თათბირი უარჰყოს.

## წერილი რედ. მიმართ

მ. ხ. ბ-ნო რედაქტორო! თქვენ პატივცემულ გაზეთში ამა თვის 20 რიცხვიდან მოხსენებული იყო ბატონ Legatus-ის კორესპონდენციაში, რომ თ-დი ნ. თუმანიშვილი იღებდა მხურვალე მონაწილეობას „აშურიანის“ მამულის გაყიდვაში მანთაშევისადმი, რასაც მოწმობს ს. ფალავანდიშვილისადმი გაგზავნილი დეპეშაო.

ზნეობრივ მოვალეობად მიმაჩნია აღვადგინო სიმართლე და განვაცხადო, რომ თ. და ნ. ა. თუმანიშვილი მამულის გაყიდვაში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა; რაც შეეხება ტელეგრამას, იგი გაგზავნილ იქმნა ჩემგან, მხოლოდ რადგან მე ნაკლებ ვიცნობდი თ-დ ვ. ე. ბაგრატიონს, რომლის სახელზედაც იყო გაგზავნილი დეპეშა, გადასაცემად ს. ფალავანდიშვილისა, თ-დ თუმანიშვილის ნებართვით ვისარგებლე მისი გვარით და გავუგზავნე დეპეშა ბაგრატიონს, რადგან თვით თ-დი თუმანიშვილი და ბაგრატიონი კარგს განწყობილებაში იმყოფებიან.

გარდა ამისა მამული გაიყიდა 80 მან. დესეტინა, ხოლო ფალავანდიშვილის წილობა კი დესეტინა 75 მანეთად, რადგანაც ამ უკანასკნელის მიწა ღირსებით ბევრად ნაკლებია, რადგან შიგ მამულში იშლება ორი ხევი და ამით აიხსნება მამულის გაყიდვა 5 მანეთით უფრო იაფად ვიდრე დანარჩენი მონაწილეებისა. დანამდვილებით ვიცი, რომ თავ. გ. ო. ამილახვრის მამულის ყიდვა მანთაშევს არასოდეს არა სდომებია და არც რაიმე წინადადება მიუცია.

**თ-დი ხ. მ. ჩოლოყაშვილი.**

## სპორტი

**ცირკი ძმ. ერიკოვხკებისა.**

მე-2 დღე ჰიდაობისა.

19 ოქტომბერს იქიდავეს 4 წყვილმა. 1 წყვილი: ცეპნიკი და პუგაჩოვი; აჯობა პირველმა „წინა ქამრით“ 3 წუთსა და 8 წამ.

2 წყვილი: მუხანურა და სოკოლი (პეტროვი) იქიდავეს 14 წუთსა და 20 წ. მანჯურაული მუხინურა ძალიან ღონიერი მოქიდავეა და ამასთან ოხუნჯიც; მის ქიდაობის დროს ხალხი გულიანად ხარხარებს—სოკოლი ჯერ ახალგაზრდა მოქიდავეა, მაგრამ ტექნიკა მშვენიერი აქვს. რა თქმა უნდა ღონიერ მუხანურას ვერა დააკლორა და დამარცხდა „ბრა რულეთი“. 3 წყვილი: მაისურაძე და შტერნი. პირველმა, როგორც ბავში, ისე ათამაშა შტერნი და 1 წუთსა და 50 წამში ბოლოს მიწას გააკრა; მაისურაძე ხალხმა მხურვალე ტაშისცემით დააჯილდოვა და ლეკურიც კი ათამაშეს. 4 წყვილი: ტიგანე ტ ვეიმანი. ორივე ახალგაზრდა მოქიდავეა; ვეიმანი ლურჩიხის და აბერგის მოწაფეა; მოხდენილად ჰიდაობს, მაგრამ ამისთანა ფალავანთან, როგორიც არის ტიგანე, რა თქმა უნდა, ვერას გახდება. წააქცია ტიგანემ 14 წუთსა და 18 წამში „ტურ დე ტეტ“-ით.

მესამე დღე—კვირას იქიდავა ოთხმა წყვილმა 1). ზანგი ციპსი და პუგაჩოვი. წააქცია ციპსმა 45 წამში წინა ქამრით.

2) მუხანურა და ტიგანე; 20 წუთი იქიდავეს და გაშველდნენ.

3) მაისურაძე და სოკოლი. წააქცია მაისურაძემ 7 წუთსა და 45 წამში თვისი საყვარელ „ბრა რულე“-თი.

4) მსოფლიო ფალავანმა კაპიოვმა 8 წუთში წააქცია ვეიმანი. ჰიდაობას ხელმძღვანელობს საიმპერატორო სცენის ყოფილი კომიკი კრუჩინინი, რომელიც ფრანგული ჰიდაობის კარგი მცოდნეა.

ჰიდაობას აუარებელი ხალხი ესწრება. **მ. ნ.**

რედაქტორი **ა. ჯუმბაძე.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**

№ 4711.
თმის სალებავი
კაკლის ექსტრაქტისაგან.
სრულიად უვნებელია. დებავს სწრაფად და საფუძვლიანად, როგორი ფერისაც გნებავთ: ნიხი ქერისაგან შავ ფერად.
პარფ. კელნი, რიგა.
ფერ. მიულგენს,
1505
Метцль. 357852.
უმაღლეს სახელის იჯარადარი.
ფლაკონი 1 მ. 20 კ. 2 მ. იყიდება ყველგან.

## მატარებელთა მიმოსვლა
(ზაფხულობით)

18 აპრილიდან
(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-სამარგალი** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ. № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით დამის 1 ს. 23 წ.

**ბათომისაკენ:** № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **ჩქარი** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** დამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით დამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **სახ.** დილ. 8 ს. 1 წ. (15 მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**ქსანიაზე:** № 65, **საბაგარაკო** დილ. 8 ს. 16 წ., № 67, ბ **საბ.** ნაშუადღ. 2 ს. 43 წ.

ეს მატარებელები ივლიან პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე კვირა-უქმე დღეობით. მატარებელი № 67, უქმის წინა დღეებშიც. ტფილისში უკანვე დაბრუნდებიან № 65 შუადღ. 12 ს. 5 წ. ს. № 67 საღ. 8 ს. 28 წ.

**ჯულფისკენ:** **საფ.** № 4, 3, შუადღ. 12 ს. დ. 9 წ.

**ყარსისკენ:** **სახ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევანისკენ:** № 24, 23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

**ქუთაისში მიდის:**

**ბაქიდან:** № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **ჩქარაული** — პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით დამის 2 ს. 12 წ.

**ბათომიდან:** № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს 12 წ.

## სასანიტარო ექიმები

**უბნები:** 1—2 **პ. ფომინა-ოსიპოვიჩი** ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

3—4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. ტელ. 517).

5—6 **ი. ზ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ. 645).

7—8 **ნ. დ. ხატისოვი** (ნიკოლოზის ქ. № 7, ტელ. 709)

9—11 **ბ. ნ. ნათიშვილი** (მონუმენტის შესახვევი, № 5. 487).

10—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის პროსპ. 174 ტელ. 327.)

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები და აგვიხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეამჩნევენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო ოთხოვნილებათა არღვევენ, ცუდს საბჭოს-სასმელს აკეთებენ და ჭყიდიან და სხ.—დაუკანონებლივ ზემოდ დასახელებულ ეკიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ეჯერას შეაგზავნეს ქალაქის სანიტარიის კანტორებში: ვერის ბოდანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, ალმასის მოედანზე, ავლაბარში ძაღლის ბაზარზე, 54, ელისაბედის ბაზარ 56 და მალაკის მოედანზე.

## ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
**ავადმყოფებს მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**
**დ ი ლ ი თ:**
**„606“ და „914“**
**11—12 ს. შეეხაკუნება**
**კონსულტაციისაგან.**
**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ბ. გ. ბაბანოვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ხერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბეგიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ვეტლისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი აავადმყოფ. და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ა. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბეგიო და ქალების ავადმყ.
**კ. დ. გურგენიძე.** 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. ხალა მოოთით 6—7 საათამდე.
**ს ა ღ ა მ ო თ ი:**
**მ. გ. ვეტლისიანცი:** 6—7 საათ.
რეგა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები ძვირიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის ექტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
1004

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 საათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილიანი.

**ექიმი ვ. მუსხელიშვილი** მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 სახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

**ა. კივიტ.** აცხადებს **სიბწყინის მოწმოიისათვის, სამხედრო სა. ბავშვებლში,** 1 ბარიანის ვოლოხოპრედელიანიუ ანი გამოცდისათვის და საჩუალო სასწავლებლების ყველა კლასებისა თვის შეთანხმების ძიებედვით **ბირობა ვაძლევ გამოცდის სასურველ შედეგების შესახებ.** სახლა ბეიძლება: ლილით 12—1 საათამდე და საღამოთი 5—6 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახ. № 142 (პიროგოვის ქუჩის კუთხე). 1540

მთელს დედა-მიწაზე საუკეთესო
**გრამო-ფონებს**
**„იაკორ“-ს**
ჰეიდის საფაბრიკო მაღაზია
გრამოფონებისა
**გ. ს. დავიდოვისა.**
ფულის ნაწილ-ნაწილად გადახდა შეიძლება.
გოლოვინის პროსპ., № 6, საკრებულოს ქვეშ.
1531

მთელ ქვეყნიერობაზე უთხელესი საათი **„ბრენერ“,**
ნამდვილი ფენევის და 19 საგანი მხოლოდ 4 მ. და 85 კაპ.
**ყველა სხვა საათი კარგი მომუშავე არ არის,** რადგანაც როგორი სიფუფუთვითაც არ უნდა შეინახოთ ისინი, მტვერი მაინც ჩადის მექანიზმში ქვედა სახურავებით და მათ მუშაობას ინერებს. ჩვენ მივიღეთ წარმომადგენლობა ახლად გაუმჯობესებულ ჯიბის საათებს „ბოლერ“ **პატენტიანი შვეიცარიაში 51308** (აქამდე არ მოიმზდარა). რომელთაც ის წარჩინება აქვთ სხვა საათების წინაშე, რომ მექანიზმი მუდამ მჭიდროდ


არის დახურული, რადგან მექანიზმის მხრივ ასახდელი სახურავი არა აქვს და მისი მუშაობის დანახვა მხოლოდ ციფერბლატზე სჩანს. ამიტომ ვურჩევ ყველას შეიძინოს ეს პრაქტიკული და სწორედ მომუშავე საათი „ბოლერი“, (ლურჯი ფოლადისაგან და არა შავი) ძლიერ თხელი, სითხე ვერ ცხლის მანეთისს არ აღემატება, ფანტასტიურად მოვარაყებული ოქროთი ან ვერცხლის ციფერბლატიანი, ძლიერ მოხდენილი ნამუშევარი, გარედან ინკერის მაიტნიკით, მუშაობა 15 ქვით, მომართვა უნდა მხოლოდ ერთხელ 40 საათის განმავლობაში, „რემონტუარი“. ეს საათი იგზავნება შემდეგი ნივთების წყობით: 1. საათიტრო ბინოკლი, ოთხის ახრომატიული შუშით, ჩვეულებრივი ზომა, რომელიც საგნებს ძლიერ შორე მანძილზე ადიდებს, 2. საუცხოო ძეწკვი ამერიკულ ოქროსი, ორფა, 3. ახალგვარი ბრელოკი და ზამშის ბუდე. 4. საათის ქურდებისაგან გამაფრთხილებელი, 5. საზღვარ-გარეთის ტყავის პორტმანი 7 განყოფ. მექანიკ. გასაფებ. 6. რეზინის ბუქედი, დამკიეთის სახელით, მამის სახელით და გვარით, 7. პარიზ. პლასტოგრაფ., რომელიც როგორც ბუნებრივს ინერებს სხვი და სხვა სანახაობს, 8—13. 6 ფრიად საინტერესო მისი სურათი, 14. საუცხოო ბეჭედი ნამდვილ ამერიკულ ოქროსი, **დუბლე**-სი თვალით. 15. ჯიბის საწერელი, 16. სამართებელ „à la Gillet“, რომლის საშუალებითაც ყველას შეუძლიან უვნებლად იპარსოს, 18 სა. წასასმელი ჩოთქი და 19. ჯამი. **ფასი 12 მ მაგიერ მხოლოდ 4 მ. და 85 კ** 2 წყება 9 მ. და 20 კ ესვე წყება ქალის საათი (აუზდელი მაიტნიკით) იმავე ფასში. საათები იგზავნება წუთამდე შემოწმებული 6 წლ. პირობით. ფასდადებით. გასაგზავნი ფასი 40 კ., (ციმბირში 75 კაპ.)
**მისამართი: ამხ—ბა „ელექციონი“, ვარშავა, განყოფ. 94.**
M 38218. 1361

## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება

**წიგნები: ისტორიისა, ეკლესიო და საისტორიო მასალები:**

| | |
|---|---|
| ბავშვაძე ი. ი. ისტორია | 35 კ. |
| ბუნია. ისტორიული ნარკვევი | 1—50 „ |
| ბერძენიძე ზ. ისტორია ქართ. ჟურნ.-გაზეთებისა | 15 „ |
| — კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში | 50 „ |
| — „ „ ბათომში | 10 „ |
| — კათოლიკეთა ეპისკოპოსის მობრძანება საქართველოში | 10 „ |
| — მესხეთ-ჯავახეთის გათათრება | 10 „ |
| — სოლომონ ლეონიძე | 10 „ |
| — ქართ. კათოლიკეთა სასულ. მოღვაწენი და მესხეთ-ჯავახეთის ცხობა | 25 „ |
| — ქართვ. კათოლიკეთა ვაპრობა. | 30 „ |
| — ქართვ. კათოლ. ყველა ასპარეზზე | 25 „ |
| — ქართული სტამბა | 10 „ |
| — საქართველოს ცხოვრება | 1 მ.— |
| — მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში | 60 „ |
| — ისტორია ოსმალეთის ყოფილი საქართველოსი | 50 „ |

**ახალი წიგნები:**

| | |
|---|---|
| ერის სულის მეფე, ლეგენდა, რუხაძე. | 5 „ |
| ბაირონიზმ. და მსოფლიო მწუხარება | 25 „ |
| ყოველის მხრიდან, ლომაურისა | 10 „ |
| გენეალოგია დიდი ალექსანდრე მეფისა | 30 „ |
| საქართველოს გმირი გიორგი საკაძე | 80 „ |
| Списокъ пьесъ на груз. языкѣ разрѣшенныхъ къ представленію | 40 „ |

**ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас.** 1913

## 95 კაპეიკად
**განცვიფრებაში მოჰყავს ყველა საოჯახო საოთვალთმაქცო წიგნაკს!**

ამ წიგნაკის საშუალებით ყველას შეუძლიან სხვისი ანბარი გაიგოს, გამოიწვიოს აჩრდილი, შეიტყოს ვის ვიუყვარს, ვის რა ჰქვია. გადაიკეთოს ჯოხი გველად, ხოლო წყალი—ღვინოდ. მოგვობის საიდუმლო უკვე ახსნილია. ფარდა აწ უკვე ახდილია და ეხლა შეგიძლიანთ აიღოთ ტიტვალი ხელში გიხურებული რკინა; ენაში გაიყაროთ ლურსმანი; გაიტაროთ გვამშიგ რძელი ხმალი; აჩვენოთ მოჭრილი მოლაპარაკე თავი და თქვენი თავის უვნებლად გარდაქმნა. ხელოვნება, თუ როგორ გაიკეთოთ ფულები წყალისაგან, შეგიძლიანთ გაავსოთ ერთ წამში ოთახი წყლითა ან და ნისლით და ბევრი სხვა გასაოცარი თვალი მაქცობა ჩაიდინოთ. თვალთმაქცობის შესრულების დროს ყოველი სახლი შეგიძლიანთ აქციოთ ნაზრახ კოშკად. ფასი 95 კაპ. გამოგზავნება ფასდადებითაც. გამოგზავნისთვის და ფასდადებისათვის გადასახდელი იქნება 25 კ. ერიდეთ სიყალბეს! ახალი გამოცემა ბევრად შესწორებული, **272 გვერდი** და მრავალი სურათი.
M. 59316. **მისამართი: Т—во „Заря“, Варшава, отд. 123.** 1547

## მივიღეთ ცივადი-მატარებლით
## პეტერგურგიდან
ამურის **წითელი ხიზილალა** |კეტოვი|, **სიგი**, დვინის **ორაგული**, **ბრუზდი**, **ბრუსნიკა** და სხვ.
თევზის მრეწველნი **ძმ. ძეგვალოვები.**
**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.**
**ტელეფონი № 712.**
**აგრედვე იყიდება მაილოვის ხიზილალა**
**კოლოფით ტ ხმელი სოკო.** 1500

**გამოსულია და იყიდება**
**ი. გედევანიშვილის ბიბლიოთეკა**
## „გ ა მ ც ე მ ი“
**დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.**